ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

შაბათი – კვირა, 18 – 19 იანვარი, 2020

№14 (8278)

ფასი: 60 თეთრი

გვ.5

სასამართლომ „რუსთავი 2“-ის საქმეზე აქიმიძისა და დვალის სარჩელი არ განიხილა

ქიბარ ხალვაშის წილს ყადაღა მოეხსნა

თეა წულუკიანი: „ქართულმა მხარემ ლავასოლლის ექსტრადიცია მოითხოვა“

გვ.5

„ივანიშვილი გახარიას აპრილში გაუშვებს“

გვ.4

ზაზა ხატიაშვილი: „შოთაძის მობრუნებით „ოცნებამ“ აღიარა, რომ არჩევნებს წააგებს“

გვ.3

„ოქრუაშვილი შესაძლოა პოლიტპატიმრად აღიარონ“

უჩა ნანუაშვილი: „პოლიტიკური დევნის და შერჩევითი სამართლის ნიშნებია მის საქმეში. ოქრუაშვილამდეც მონაწილეობდნენ ადამიანები ამ პროტესტში, მათ მიმართ სხვა ღონისძიება იყო გამოყენებული. თუნდაც აღკვეთი ღონისძიების სახედ. ოქრუაშვილს კი წინასწარი პატიმრობა მიუსაჯეს.

კახა კოჟორიძე: „შოთაძე გახარიას წინააღმდეგ საქმის გამოძიებას დაიწყებს?“

„ივანიშვილის პრემიერობას გამოვრიცხავ“

გვ.3

გვ.3

შოთა მალაშხია: „ოპოზიციამ მთელ ქვეყანაში პარალელური სტრუქტურები უნდა შეექმნათ“

„გამოკითხულთა ნახევარი ივანიშვილს ვერ იტანს. ის ისეთ გადაწყვეტილებებს იღებს, რომ ეს რიცხვი გაიზრდება“

გვ.4

თამაზ ბაკურიძე: „აჭარაში თურქმა ბიზნესმენმა 27 საფლავი დააყადაღა“

29 დეპუტატი დეკლარაციის არასწორად შევსების გამო დაჯარიმდა

გვ.2

ISSN 1987-9385

5 ირაკლი შოთაძე მზადაა, გენერალური პროკურორის თანამდებობაზე დაბრუნდეს

2 ზურაბ ჯაფარიძეს 2.000 ლარი ჯარიმა დაეკისრა

2 ბადრი ჯაფარიძე: „ჩვენ არ გვინდა, რომ პროცესი სასამართლო დავაში გადაიზარდოს“

6 აიათოლა ალი ხამენეი: „ტრამპი კლოუნია, რომელიც ირანელ ხალხს ზურგში შხამიან ხანჯალს ჩასცემს“

29 დეპუტატი დეკლარაციის არასწორად შევსების გამო დაჯარიმდა

254 ჯარიმა და 75 გაფრთხილება – ასეთია საჯარო სამსახურის ეროვნული ბიუროს მიერ 2019 წელს შემოწმებული საჯარო მოხელეების დეკლარაციების მონიტორინგის შედეგი.

2019 წელს შემოწმებული საჯარო მოხელეებიდან ნახევარზე მეტს დეკლარაცია დარღვევებით აქვს შევსებული. უწყების ინფორმაციით, გასულ წელს სულ 596 თანამდებობის პირის დეკლარაცია შეისწავლეს, საიდანაც დადებითად მხოლოდ 237 შეფასდა.

უწყების განცხადებით, უარყოფითად შეფასებული დეკლარაციებიდან ყველაზე მეტ – 63%-ს დარღვევა ჰქონდა საანგარიშო პერიოდში მიღებული შემოსავლის არასწორად დეკლარირების გამო.

ასევე, 63% უარყოფითად შეფასდა ოჯახის წევრების მონაცემების არასწორად მითითების გამო.

დაჯარიმებულ მოხელეთა რიცხვში არის 29 დეპუტატი.

„ბიზნესპრესნიუსი“ გთავაზობთ დეპუტატების სიას, რომლებიც 2019 წელს ქონებრივი დეკლარაციის არასწორად შევსების გამო დაჯარიმდნენ:

ზვიად კვაჭანტირაძე – მითითებული არ არის მეუღლის მონაწილეობა სამეწარმეო საქმიანობაში;

ლევან კობიაშვილი – მითითებული არ არის სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილეობა, მითითებული არ არის მეუღლის სახელფასო შემოსავალი;

გურამ მაჭარაშვილი – შეუსაბამობა უძრავ ქონებაში;

ერეკლე ტრიპოლსკი – სამეწარმეო საქმიანობა არ არის ასახული დეკლარაციაში, მიუხედავად იმისა, რომ იგი არ ფუნქციონირებს;

გოჩა ენუქიძე – არ არის მითითებული ერთჯერადი შემოსავალი, რომელიც აღემატება 3.000 ლარს და ერთჯერადი გასავალი, რომელიც აღემატება 5.000 ლარს;

ზაზა კედელაშვილი – არ არის მითითებული ერთჯერადი გასავალი, რომელიც აღემატება 5.000 ლარს;

სამველ მანუკიანი – დეკლარაციაში მისი ოჯახის წევრის სახელზე არსებული უძრავი ქონება არ დადასტურდა საჯარო რეესტრის მიხედვით, ასევე მისი ოჯახის წევრის უძრავი ქონება არ არის მითითებული; ბიუროს მიერ მოთხოვნილი ნაწილი დოკუმენტაციის წარუდგენლობა; მის მიერ სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის ცდომილება; მისი და მისი ოჯახის წევრის ანაზღაურება არ არის მითითებული;

ზაქარია ქუცნაშვილი – ოჯახის წევრის მიერ მიღებულ ანაზღაურებაში ცდომილება, არ არის მითითებული ერთჯერადი გასავალი, რომელიც აღემატება 5.000 ლარს;

მიხეილ ყაველაშვილი – შეუსაბამობა ხელშეკრულების საგნის ღირებულებაში, შეუსაბამობა ხელშეკრულების მატერიალურ შედეგში, მისი და მისი ოჯახის წევრების ნაწილი საბანკო ანგარიშების წარუდგენლობა, ოჯახის წევრის მიერ მიღებული ანაზღაურება არ არის მითითებული;

ერთი თანამდებობის პირის საეჭვო დეკლარაცია პროკურატურას გადაეგზავნა

ივლიანე წულაია – მის მიერ მიღებული შემოსავლის ცდომილება;

ირაკლი ხახუბია – მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ფართობის ცდომილება, ასევე დეკლარაციაში ასახულია უძრავი ქონება, რაც არ დადასტურდა საჯარო რეესტრის მიხედვით, ასევე მის სახელზე არსებული უძრავი ქონება არ არის მითითებული, ბიუროს მიერ მოთხოვნილი ნაწილი დოკუმენტაციის წარუდგენლობა, მისი ოჯახის წევრის მონაწილეობა სამეწარმეო საქმიანობაში არ არის მითითებულია, მის სახელზე არსებული ხელშეკრულება არ არის მითითებული, არ არის მითითებული ერთჯერადი შემოსავალი, რომელიც აღემატება 3.000 ლარს და ერთჯერადი გასავალი რომელიც აღემატება 5.000 ლარს;

ენზელ მკოიანი – საბანკო ანგარიშების ნაწილში: საბანკო ანგარიშების წარმოუდგენლობა; ოჯახის წევრის დაუდეკლარირებელი შპს; სხვაობა შემოსავალში;

ილია ნაკაშიძე – ოჯახის წევრის დაუდეკლარირებელი საბანკო ანგარიში; წევრის დაუდეკლარირებელი შპს;

ვიქტორ ჯაფარიძე – დაუდეკლარირებელი უძრავი ქონება; საბანკო ანგარიშების წარმოუდგენლობა;

გრიგოლ მიქელაძე – ოჯახის წევრის დაუდეკლარირებელი უძრავი ქონება; სხვაობა შემოსავალში;

კობა ნაყოფია – არასწორად იყო მითითებული საბანკო ანგარიშზე დეკლარაციის შევსების თვის პირველი რიცხვის მდგომარეობით არსებული ნაშთი; სრულად არ იყო წარმოდგენილი ხელშეკრულებები;

ელგუჯა გოცირიძე – ოჯახის წევრის საბანკო ანგარიშის არ მითითება, საკუთარი სხვა შემოსავალ-გასავლის არ მითითება;

ლაშა დამენია – ოჯახის წევრის ანაზღაურების არ მითითება;

ოთარ დანელია – ოჯახის წევრის ანგარიშების არ ასახვა, ზოგიერთი ანგარიშის არ წარმოდგენა, საკუთარი ხელშეკრულების არ ასახვა, საკუთარი სხვა შემოსავალ -გასავლის არ ასახვა;

ბექა ნაცვლიშვილი – საკუთარი და ოჯახის წევრის საბანკოს არასწორად წარმოდგენა, ხელშეკრულებების არ ასახვა და ნაწილობრივ წარმოდგენა;

ბექა ოდიშარია – საკუთარი და ოჯახის წევრის უძრავი ქონების არ ასახვა, საკუთარ ნაშთებში ცდომილება და საკუთარ და ოჯახის წევრის ანგარიშების არ მითითება, საკუთარ და ოჯახის წევრის სამეწარმეოს არ ასახვა, საკუთარი ხელშეკრულების მატერიალური შედეგის ცდომილება, ოჯახის წევრის ხელშეკრულების არ ასახვა, საკუთარი და ოჯახის წევრის სხვა შემოსავალ/გასავლის არასწორად ასახვა;

ნინო წილოსანი – ოჯახის წევრის უძრავის არ ასახვა და ფართში ცდომილება, საკუთ. სამეწარ. არ ასახვა, ანაზღაურების შემოსავლის არ ასახვა;

ლერი ხაბელოვი – საკუთარი უძრავი ქონების არ ასახვა, სამეწარ. არ ასახვა, ანაზღაურების ცდომილება, მოთხოვნილი დოკუმენტაციის არ წარმოდგენა;

მამუკა ჩიქოვანი – შეუსაბამობა ნაშთებში; შეუსაბამობა შემოსავლებში;

დავით ჭიჭინაძე – ცდომილება შემოსავალში;

დიმიტრი ხუნდაძე – ცდომილებები მიღებულ შემოსავლებში;

გიორგი ღვინიაშვილი – მისი და მისი ოჯახის წევრის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება არ არის მითითებული დეკლარაციაში, ასევე დეკლარაციაში ასახული უძრავი ქონება არ დადასტურდა საჯარო რეესტრის მიხედვით; მის საბანკო ანგარიშებზე არსებული ნაშთის ცდომილება, ასევე მისი ოჯახის წევრების საბანკო ანგარიშები არ არის მითითებული;

კობა კობალაძე – არ აუსახავს მისი და მისი შვილი სახელზე არსებული მოძრავი ქონება. არ აუსახავს მისი შვილის საბანკო ანგარიში. არ აუსახავს მისი ოჯახის წევრების მიერ მიღებული შემოსავლები;

გოდერძი ჩანქსელიანი – სხვაობა უძრავი ქონების ფართში, არ ასახა ინფორმაცია მისი შვილის სამეწარმეო საქმიანობის შესახებ, არ ასახა ერთჯერადად მიღებული შემოსავლები, რომელიც აღემატება 3.000 ლარს.

17 იანვარს საჯარო სამსახურის ბიურომ არასწორად შევსებული დეკლარაციების საქმეზე განმარტებები გააკეთა.

სამსახური ადასტურებს, რომ ერთი თანამდებობის პირის მონაცემები საეჭვო იყო, რის გამოც შემსწავლელმა ჯგუფმა კანონის შესაბამისად იმოქმედა და მასალები პროკურატურას გადაუგზავნა.

– ეს ის ერთი შემთხვევაა, როდესაც ბიუროს გაუჩნდა ეჭვი, რომ შესაძლოა, დეკლარაციაში არასწორი და არასრული მონაცემები განზრახ შეიტანეს. ამიტომაც, კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, საქმე თავის დოკუმენტაციით გადაეგზავნა საქართველოს გენერალურ პროკურატურას, – განაცხადა საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის მოადგილემ თეიმურაზ ჩიხრაძემ.

აღნიშნულს ადასტურებს პროკურატურაც, თუმცა უწყებაში თანამდებობის პირის ვინაობას არ ასახელებენ.

კელი დეგნანი: „შეერთებული შტატებისთვის პატივია ჩვენი ქართველი მეგობრების გვერდით დგომა“

– წლევანდელი საპარლამენტო არჩევნები მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა ქართველებისთვის, აჩვენონ მსოფლიოს, რომ ის პროგრესი, რომლისთვისაც ამდენი იშრომეს, შეუქცევადია.

ამის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების ახალმა ელჩმა საქართველოში, კელი დეგნანმა ფიცის დადებისას განაცხადა.

როგორც დეგნანმა აღნიშნა, ის მოუთმენლად ელის საქართველოს მთავრობასა და სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობას თავისუფალი და სამართლიანი საარჩევნო პროცესის მხარდასაჭერად.

– ჩვენ ვრცელი სამუშაო გეგმა გვაქვს საქართველოსთან და ბევრს ველით ჩვენი ქართველი მეგობრებისგან. ქართველებმა გვაჩვენეს, რომ აქვთ შეუპოვრობა და მხნეობა იმ დემოკრატიული პროცესების დასაცავად და საჭირო რეფორმების გასატარებლად, რომელთა დამკვიდრებისთვისაც ამდენი იშრომეს და რაც ძალიან მნიშვნელოვანია, საქართველოს ტრანსატლანტიკური ინტეგრაციისათვის.

ეჭვგარეშეა, რომ საქართველო შეერთებული შტატების მნიშვნელოვანი და სტრატეგიული პარტნიორია. თითქმის ოცდაათწლიანი თანამშრომლობის განმავლობაში ჩვენ მოწმენი გავხდით შესანიშნავი ტრანსფორმაციისა, რაც ქართველების სიმამაცისა და საკუთარი ქვეყნის დამოუკიდებლობის სიყვარულის შედეგია.

საქართველოს ბევრი საამაყო აქვს და შეერთებული შტატებისთვის პატივია ჩვენი ქართველი მეგობრების გვერდით დგომა. ჩვენ ძლიერი მოტივაცია გვაქვს და როგორც ელჩი, მე ერთგული ვარ ჩვენი პარტნიორობის სიმტკიცის შენარჩუნებისა ამ ნათელი მომავლის გზაზე, რის მიღწევასაც ყველა ქართველი იმსახურებს, – განაცხადა დეგნანმა.

ახალი ელჩის სიტყვას საქართველოში აშშ-ის საელჩო ავრცელებს.

ბადრი ჯაფარიძე: „ჩვენ არ გვინდა, რომ პროცესი სასამართლო დავაში გადაიზარდოს“

– ორი თვე გვაქვს და იქნებ რამე გამოვიდეს, – ასე გამოეხმაურა პოლიტიკური გაერთიანება „ლელო საქართველოსთვის“ ერთ-ერთი ლიდერი ბადრი ჯაფარიძე ჟურნალისტის კითხვას, მიმდინარეობს თუ არა ხელისუფლებასა და „ანაკლიის განვითარების კონსორციუმს“ შორის მოლაპარაკება.

– ამ წუთას ჩვენი მხრიდან არანაირი ნაბიჯი არ იდგმება, რადგან მთავრობის მხრიდან ვერანაირი სურვილი ვერ დავინახეთ და უფრო მეტსაც გეტყვით, გუშინ განაცხადეს, რომ ის ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელიც დაკავშირებული იყო ანაკლიასთან, არ განხორციელდება, ლაპარაკია საავტომობილო გზის და რკინიგზის მიყვანაზე, რაც იყო ჩემი აზრით კიდევ ერთი სრულიად გაუმართლებელი ნაბიჯი. მაგრამ რაც შეეხება მოლაპარაკებებს, ამ წუთას მოლაპარაკება არ მიმდინარეობს უშუალოდ კონსორციუმსა და მთავრობას შორის. ახლა იურისტები მუშაობენ და აანალიზებენ შექმნილ ვითარებას გამომდინარე იმ ხელშეკრულებიდან, რომელიც არსებობს.

ჩვენ არ გვინდა, რომ ეს პროცესი სასამართლო დავაში გადაიზარდოს, იმიტომ, რომ ეს დიდი ხნით გააჭერებს პროექტის განხორციელებას და გადადებს გაურკვეველი ვადით. ეს არ არის ჩვენი ინტერესი, ამიტომ, თუ რამე იქნება გამოსავალი მოძებნილი, ჩვენ ყველა გამოსავალს მხარს დავუჭერთ ისეთს, რომელიც უზრუნველყოფს პროექტის უწყვეტ განვითარებას, – განაცხადა ჯაფარიძემ.

პარლამენტმა ბადრი ბასიშვილის სადეპუტატო უფლებამოსილება ცნო

პარლამენტმა ბადრი ბასიშვილის უფლებამოსილების ცნობის თაობაზე დადგენილების პროექტს მხარი დაუჭირა.

დადგენილების პროექტს მხარი 75-მა დეპუტატმა დაუჭირა, 2 კი წინააღმდეგ წავიდა.

ბადრი ბასიშვილი პარლამენტში ნიკა მელიას ადგილმონაცვლე იქნება. ნაციონალური მოძრაობა რიგგარეშე პლენარულ სხდომას არ დასწრებია და არც აღნიშნულ საკითხზე კენჭისყრაში მიუღია მონაწილეობა.

ნიკა მელიას სადეპუტატო უფლებამოსილება 2019 წლის 12 დეკემბერს შეუწყდა. ნიკა მელიასთვის პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტას მხარი 88-მა დეპუტატმა დაუჭირა, საკითხს მოწინააღმდეგე არ ჰყავდა. პარლამენტმა მელიასთვის დეპუტატის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხი დღის წესრიგში მას შემდეგ დააყენა, რაც ბანკი „ქართუს“ გაკოტრების საქმეზე, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ნაწილში მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი იქნა მიღებული.

ნიკა მელიას 25.000 ლარიანი ჯარიმა დაეკისრა. ასევე დამატებით სასჯელად 2 წლით და 3 თვის ვადით თანამდებობის დაკავების უფლება ჩამოერთვა.

თბილისში ქურდობის ფაქტი აღკვეთეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის ისანი-სამგორის სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქურდობის მცდელობის ბრალდებით, 1987 წელს დაბადებული ჯ.ს. თბილისში დააკავეს, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროდან აცნობეს.

უწყების ინფორმაციით, ჩადენილი დანაშაული 3-დან 5 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა ბრალდებული იმ დროს დააკავეს, როდესაც მან სამგორის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთ მაღაზიაში უკანონოდ შეაღწია და სავაჭრო დაწესებულებიდან ფულისა და ლეპტოპის მოპარვას ცდილობდა.

ქურდობის მცდელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 19-177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით მიმდინარეობს“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

ზურაბ ჯაფარიძეს 2.000 ლარი ჯარიმა დაეკისრა

თბილისის საქალაქო სასამართლომ „გირჩის“ ლიდერი ზურაბ გირჩი ჯაფარიძე ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნო.

მოსამართლე ვალერიანე ფილიშვილის გადაწყვეტილებით, ზურაბ ჯაფარიძეს სახდელის სახედ 2000-ლარიანი ჯარიმა დაეკისრა.

„გირჩის“ ლიდერი ზურაბ ჯაფარიძე 18 ნოემბერს აქციის დაშლისას დააკავეს.

გამოძიება ადმინისტრაციული კოდექსის 166-ე (წვრილმანი ხულიგნობა) და 173-ე (სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა) მუხლებით მიმდინარეობს, რაც 15 დღით თავისუფლების აღკვეთას ან ფინანსურ სანქციას გულისხმობს.

ზურაბ გირჩი ჯაფარიძე ჯარიმის გადახდას არ აპირებს.

– ყალბი ჩვენებები იყო პოლიციელების მხრიდან, გაყალბებული იყო თვითონ პატაკი. 13 კაცზე ერთი და იგივე პატაკია დაწერილი, ჩემს შემთხვევაში და ჩვენი მმართველი საბჭოს წევრის, იმედა კლდიაშვილის შემთხვევაში, პატაკის მხოლოდ პირველი გვერდი იყო გამოცვლილი. მოვისმინეთ ბევრი ტყუილი პოლიციელების მხრიდან და როდესაც მოსამართლე გასული იყო გადაწყვეტილების მისაღებად და პოლიციელებს ველაპარაკებოდით, აღიარეს, რომ იტყუებოდნენ.

ჩემ შემთხვევაში, საერთოდ გაუგებარია, რატომ დამაკისრეს ჯარიმა, საერთოდ არ დამიმტკიცდა ის, რაზეც საუბარი იყო იმიტომ, რომ დაავიწყდათ სამართალდამრღვევ ოქმში იმის ჩაწერა, რომ მონაწილეობას ვიღებდი პიკეტირებაში და ამიტომ, საერთოდ დანაშაული არ მქონდა ჩადენილი.

დანაშაული არ ჩამიდენია, მეტაკნენ და მაკავებდნენ და ამიტომ გავუწიე წინააღმდეგობა და რატომ გაგვიწიეო, – განაცხადა ჯაფარიძემ.

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ: 598-43-98-57

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ოქრუაშვილი შესაძლოა პოლიტპატიმრად აღიარონ“

იაგო ნაცვლიშვილი

„გამარჯვებული საქართველოს“ ლიდერმა ირაკლი ოქრუაშვილმა დემოკრატიული კვლევის ხელმძღვანელს, ყოფილ სახალხო დამცველს უჩა ნანუაშვილს მისი საქმით დაინტერესების თხოვნით მიმართა. ნანუაშვილს ოქრუაშვილის წერილი „გამარჯვებული საქართველოს“ წევრებმა გადასცეს. ყოფილი სახალხო დამცველი წერილს უკვე გაეცნო და ოქრუაშვილის საქმის მასალების გაცნობაც დაიწყო.

რა რეაგირება ექნება მას და იკვეთება თუ არა ის, რომ ირაკლი ოქრუაშვილი პოლიტპატიმარია? – ამ საკითხებზე **უჩა ნანუაშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საუბრობს:

– ირაკლი ოქრუაშვილის თანაპარტიელებმა გადმოგცეს მისი წერილი. თუ გაეცანით მას და რა სახის რეაგირება მოჰყვება მას თქვენი მხრიდან?

– წერილში საუბარია იმ არსებით დარღვევებზე, რაც არის ირაკლი ოქრუაშვილის საქმეში. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, არის ის, რომ წინასწარი პატიმრობის ვადა მალე იწურება, სავარაუდოდ, ხდება ამ ვადის გასაგრძელებლად სხვა მეორე საქმის ინიცირება. ირაკლი ოქრუაშვილი ამას არ გამორიცხავს. ეს პირდაპირ ეწინააღმდეგება 2015 წლის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომ არ შეიძლება წინასწარი პატიმრობა იყოს 9 თვეზე მეტი.

– მეორე საქმე ბუტა რობაქიძის საქმესთან დაკავშირებით?

– დიახ. ამასთან დაკავშირებით ხდება. ირაკლი ოქრუაშვილი ამბობს, რომ არანაირი მტკიცებულება არ არსებობს ამ საქმეში და საკმაოდ დეტალურად საუბრობს იმაზე, რომ რეალურად საქმის შეკერვას ცდილობენ მის წინააღმდეგ.

მნიშვნელოვანია, რომ ძალიან ბევრ საკითხზე არის შერჩევითი სამართლის ნიშნები. ამის ნიშნები თავიდანვე იყო, ანუ იმ პერიოდიდან, როდესაც ის დააკავეს. შერჩევითი სამართლის ნიშნებზე მაშინ გავაკეთე განცხადება პირადად მე. რაც უფრო გავიდა ეს დრო, პირიქით, კიდევ უფრო მეტად გამოჩნდა, რომ არათანაბარი მოპყრობა იყო. თუნდაც 20 ივნისის მოვლენების მონაწილეებისადმი. მიუხედავად იმისა, რომ ოქრუაშვილამდეც მონაწილეობდნენ ადამიანები ამ პროტესტში, მათ მიმართ სხვა ღონისძიება იყო გამოყენებული. თუნდაც აღკვეთი ღონისძიების სახედ. ოქრუაშვილს კი წინასწარი პატიმრობა მიუსაჯეს.

არის კიდევ ბევრი სხვა რამე, რაც მეტყველებს იმაზე, რომ დაინტერესებაა მისი დაპატიმრება და რეალურად ამ განვლილმა პერიოდმაც,

პრინციპში, კიდევ ერთხელ დაამტკიცა ეს ვარაუდი.

ჩვენ მივადევნებთ თვალყურს პროცესის განვითარებას. რა თქმა უნდა, დეტალურად ვსწავლობთ მასალებსაც და იმ სავარაუდო დარღვევებზე, რომელზეც ბატონი ირაკლი ოქრუაშვილი საუბრობს და ჩვენ აუცილებლად გვექნება რეაგირება.

– რა სახის იქნება რეაგირება?

– იქნება როგორც განცხადება, რომელსაც გავაკეთებთ ამ საქმის შესწავლის შემდეგ. ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებთან გვექნება კომუნიკაცია ირაკლი ოქრუაშვილის საქმეში გამოვლენილი დარღვევებისა და სხვა მსგავსი ტიპის დარღვევების ადვოკატირების მიმართულებით.

უახლოეს პერიოდში დაგეგმილია რამდენიმე საერთაშორისო დონის შეხვედრა. მათ შორის, ბრიუსელსა და სტრასბურგში, სადაც იქნება განხილული საქართველოს ვალდებულებები და პრინციპში ის პრობლემები, რომელიც ამ საქმეში იკვეთება, ისევე, როგორც 20 ივნისის მოვლენების დროს დაკავებულთა სხვა პირების საქმეებშიც. ამაზე მოვახდენთ რეაგირებას და საერთაშორისო ორგანიზაციებს დეტალურად მივაწვდით ინფორმაციას.

– ანუ საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე ამ საკითხების აქტიურად დაყენებას აპირებთ?

– რა თქმა უნდა. იმიტომ, რომ ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბერკეტია იმისთვის, რომ ხელისუფლებაზე გარკვეული ზეწოლა განხორციელდეს იმისთვის, რომ ბევრ საქმეზე, რომელზეც არის დარღვევები, მოხდეს რეაგირება. ეს დარღვევები არ არის მხოლოდ ოქრუაშვილის საქმეში და ამაზე საჭიროა რეაგირება.

– თქვენი შეფასებით, ირაკლი ოქრუაშვილი არის თუ არა პოლიტიკური პატიმარი?

– მე ვფიქრობ, რომ მის საქმეში ბევრი საეჭვო დეტალია, რაზეც ჩვენ ვაგრძელებთ შესწავლას და დეტალურ გაცნობას, მაგრამ უკვე შეიძლება ითქვას, რომ მის საქმეში პოლიტიკური დევნის ნიშნები იკვეთება. თუმცა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ამასთან დაკავშირებით ჩვენ მოგვიანებით გვექნება საბოლოო და სრული დასკვნა. არსებობს ევროსაბჭოს დეფინიცია პოლიტიკური დევნის თაობაზე და ჩვენ სწორედ ამ ფარგლებში ვსწავლობთ ამ საქმეს. არ გამოვრიცხავ, რომ ირაკლი ოქრუაშვილი პოლიტპატიმრად იყოს აღიარებული სწორედ იმის გამო, რომ მის საქმეში ამის ნიშნები იკვეთება.

– ხელისუფლების მიმართ საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან არაერთი კრიტიკული შენიშვნა გამოითქვა, მაგრამ ვხედავთ, როდესაც ხელისუფლება პრაქტიკულად არავის არ უსმენს და ისევ ამ რეალობაში ვცხოვრობთ. ამ პირობებში რა გაძლევთ რწმენას, რომ ხელისუფლებაზე რეაგირების მოხდენა შესაძლებელია?

– სამწუხაროდ, ეს პირველად არ ხდება. ძალიან კარგად გვახსოვს, როდესაც სხვა მთავრობებიც იყვნენ საქართველოში, რომლებიც ასევე მსგავს ტაქტიკას ირჩევდნენ და არ რეაგირებდნენ იმ კრიტიკაზე, რომელიც მოდიოდა საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან, ხოლო როგორ დამთავრდა ეს ყველაფერი, ეს ყველას კარგად გვახსოვს. ჯერ იყო ვარდების რევოლუცია, რითიც დასრულდა შევარდნაძის ეპოქა, შემდეგ საკაკაშვილის მთავრობის დასასრულიც გვახსოვს. სწორედ ასე იყო მათი მმართველობის დროსაც, განსაკუთრებით ბოლო წლებში, როდესაც პრაქტიკულად ყველა ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაცია გამოთქვამდა კრიტიკულ შენიშვნას და ხელისუფლება პრაქტიკულად არ ცდილობდა ამ რეკომენდაციების გათვალისწინებას.

რა თქმა უნდა, ჩვენ გავაგრძელებთ ასე მუშაობას. იმ პერიოდებშიც ვაგრძელებდით მუშაობას და ვახდენდით საერთაშორისო თანამეგობრობის ინფორმირებას ქვეყანაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. სხვა შემთხვევებში გვახსოვს, რომ საბოლოო ჯამში, შედეგი დადგა. აქაც ვფიქრობ, რომ ახალი არაფერია. სამწუხაროა, რომ ხელისუფლება სხვის შეცდომებზე ვერ სწავლობს და მას იმეორებს პირდაპირ და რეალურად დროის რესურსს ამაში ხარჯავს.

– ხელისუფლების მისამართით ბოლო კრიტიკა იყო რამდენიმე დღის წინ „ჰუმან რაითს ვოჩის“ ყოველწლიურ დასკვნაში. თქვენ რა შთაბეჭდილება დაგრჩათ, რა უთხრა ავტორიტეტულმა ორგანიზაციამ ხელისუფლებას?

– მთავარი მესიჯები გადმოცემული იყო, რომ საკმაოდ ბევრი პრობლემაა ქვეყანაში და ხელისუფლება ფაქტობრივად არაფერს აკეთებს იმისთვის, რომ სამართალდამცავი სისტემის რეფორმა განახორციელოს. დაუსჯელობა კვლავ პრობლემაა და ეს ერთ-ერთი მთავარ პრობლემად იკვეთება. მედიაზე განხორციელებულ ზეწოლაზეც საუბრობს „ჰუმან რაითს ვოჩი“ და ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში არ მახსენდება ასეთი კრიტიკული შეფასება ამ სფეროს შესახებ. წინა წლებში მედიის რისკებზე არ საუბრობდა. ეს კიდევ ერთი ნიშანია იმის, რომ ქვეყანაში ბევრ სფეროში და ბევრი მიმართულებით არის პრობლემები.

უჩა ნანუაშვილი: „პოლიტიკური დევნის და შერჩევითი სამართლის ნიშნებია მის საქმეში. ოქრუაშვილამდეც მონაწილეობდნენ ადამიანები ამ პროტესტში, მათ მიმართ სხვა ღონისძიება იყო გამოყენებული. თუნდაც აღკვეთი ღონისძიების სახედ. ოქრუაშვილს კი წინასწარი პატიმრობა მიუსაჯეს.

შეიძლება ითქვას, რომ ბევრი პრობლემაა შეკრების თავისუფლებასთან დაკავშირებით, შერჩევითი სამართლის ნიშნებზეა ასევე ამ ანგარიშში საუბარი, როდესაც მხოლოდ დემონსტრანტების მიმართ იქნა მართლმსაჯულება გამოყენებული და არაერთი ადამიანი დაკავებული. მაშინ როდესაც, პრეტენზიები იყო სამართალდამცველების მიმართაც, რომელთაც მოახდინეს რამდენიმე ათეული ადამიანის მიმართ ჯანმრთელობის დაზიანება. ყველაფერზე საუბრობს ორგანიზაცია და ქვეყანაში არსებულ ვითარებას ობიექტურად და მიუკერძოებლად აფასებს. ისინი ცდილობენ, რომ სარკეში ჩაგვახედონ და საკუთარი თავი დაგვანახონ. სამწუხაროდ, ხელისუფლება არ იყურება სარკეში და სურვილიც არ აქვს, რომ ჩაიხედოს და საკუთარი თავი დაინახოს. ის პრობლემების იგნორირების რეჟიმშია გადასული და ასეთ მიდგომებს, სამწუხაროდ, კარგი არაფერი მოსდევს ხოლმე.

შოთა მალაშხია: „ოპოზიციამ მთელ ქვეყანაში პარალელური სტრუქტურები უნდა შექმნათ“

„გამოკითხულთა ნახევარი ივანიშვილს ვერ იტანს. ის ისეთ გადაწყვეტილებებს იღებს, რომ ეს რიცხვი გაიზრდება“

მარიამ მჭედლიშვილი

ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატს, ქრისტიან-კონსერვატიული პარტიის ლიდერ **შოთა მალაშხიას**.

– ყველა ნიშნის მიხედვით, გენპროკურორად აბრუნებენ ადრე გადამდგარ ირაკლი შოთაძეს. საერთოდ, რა თავისებურებებით გამოირჩევა „ქართული ოცნების“ საკადრო კარუსელები?

– იმ თავისებურებით, რომ უკვე ყველაფერი „ოცნებისთვის“ დასასრულისკენ მიდის. ივანიშვილი ამაზე მეტს ვერ ქაჩავს. მისი გზავნილი ასეთია – დავაბრუნე ღარიბაშვილი, ახლა ვაბრუნებ შოთაძეს, მინდა, მთავრობაში მყავდეს გახარია.

– გახარია უკვე აღარ უნდა.

– გახარია იმიტომ ვახსენე, რომ როცა შს მინისტრი იყო, საზოგადოება მისი, ანუ თვალების დამთხრელი მინისტრის, გადაყენებას მოითხოვდა. ამის მაგივრად, ივანიშვილმა ის დააწინაურა და გააპრემიერა. ახლაც იმავე სტილით მოქმედებს – ვისაც უნდა, გაუშვებს, მერე უკან მოიყვანს, ან გადააადგილებს.

– მისი გარემოცვა არ იცვლება?

– სწორედ ასეა. ეს მისი სულიერი გარემოცვაა, რომელსაც არ ელევა. მოუნდა? აბრუნებს შოთაძეს. დასჭირდა? გენპროკურორობიდან უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ გზავნის იურისტს, რომელსაც განათლება არა აქვს. მისი დიპლომი საეჭვო სასწავლებელშია გაცემული და ისიც ყალბია. მთავარია, რომ თანამდებობის პირები ივანიშვილს შესაციცინებდნენ თვალებში.

– თბილისის მერი კალაძე მაინცდამაინც არ შესაციცინებს თვალებში. დადის ხმები კალაძისა და მისი გუნდელების მოსალოდნელ დაჭერაზე. აგვისტოს დასაწყისში გვარწმუნებდნენ, რომ იჭერ-დნენ ქუმსიშვილს, ალავიძესა და, სავარაუდოდ, კვირიკაშვილს. არავინ არ დაუჭერიათ.

– აქ ორი მომენტია – ივანიშვილი ორგანულად ვერ იტანს ავტორიტეტებს. ეს აქსიომაა. ივანიშვილი ვერ ეგუება ადამიანს, ვისაც რაღაც რეიტინგი და სახელი აქვს. მეორე მხრივ, ივანიშვილს იმხელა ფუფუნება არ აქვს, რომ თავისიანები ან ყოფილი გუნდელები დაიჭიროს. მას ურჩევნია, მათ ლაგამი ამოსდოს და მათზე კომპრომატები ჰქონდეს.

– ეს ყველაფერი სადამდე გაგრძელდება? აღნიშნეთ, რომ ხელისუფლება მთავრდება.

– დიახ, მთავრდება. წარმოგიდგენიათ, გამოკითხულთა თითქმის ნახევარს არ უნდა ივანიშვილი. მის მიმართ ზიზღი გაიზრდება.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

კახა კოჟორიძე: „შოთაძე გახარიას წინააღმდეგ საქმის გამოძიებას დაიწყებს?“

„ივანიშვილის პრემიერობას გამოვრიცხავ“

ნათია ხურცილავა

„ლელოს“ ერთ-ერთი ლიდერი **კახა კოჟორიძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო კახა, ირაკლი შოთაძე მზაობას გამოთქვამს, გენერალური პროკურორის თანამდებობას დაუბრუნდეს. როგორ ფიქრობთ, რატომ შოთაძე?

– ნაკლებად მნიშვნელოვანია, ვინ იქნება ახალი გენერალური პროკურორი, რადგან საზოგადოებამ კარგად იცის, რომ ჩვენ უკვე გვყავს გენერალური პროკურორი და მისი სახელი ბიძინა ივანიშვილია. უკვე მერვე წელია, რაც ბიძინა ივანიშვილი ითავსებს ჯანდაცვის მინისტრის, შინაგან საქმეთა მინისტრის, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და სხვა ყველა მნიშვნელოვან თანამდებობებს ქვეყანაში. ეს არის ის მოცემულობა, რაშიც საქართველო იმყოფება. რა მნიშვნელობა აქვს, რა სახელისა და გვარის ადამიანი იქნება ამა თუ იმ სისტემაში. სისტემა ერთია და ამ სისტემას ერთი მმართველი ჰყავს.

რომ წარმოვიდგინოთ, რომ ვინმე იდეალური პირი, იდეალური პროფესიონალი ინიშნება გენერალური პროკურორის თანამდებობაზე, ის განწირულია ჩავარდნისთვის, რადგან სისტემა მას განძრევის უფლებას არ მისცემს. ეს მახინჯი სისტემა არავის მისცემს რეფორმის გატარების შესაძლებლობას, ან მკვეთრი გადაწყვეტილების

მიღების შანსს.

მაგალითად, გამოიკვეთა გიორგი გახარიას შესაძლო დანაშაულის ნიშნები. როგორ წარმოგიდგენიათ, ირაკლი შოთაძემ გახარიას წინააღმდეგ გამოძიება დაიწყოს?!

ან კიდევ, არსებობს ინფორმაცია, რომ ვანო ზარდიაშვილთან ერთად პრემიერის კაბინეტში იმყოფებოდა მოსამართლე არევაძე, სადაც კონკრეტულ საქმეზე თვითაცილების შესახებ იქნა გადაწყვეტილება მიღებული. ეს ინფორმაცია უკვე გავიდა პრესაში, შესაბამისად, კანონმდებლობის თანახმად, ამ საკითხზე გამოძიება უნდა დაიწყოს. როგორ ფიქრობთ, დაიწყებს შოთაძე ამ საკითხზე გამოძიებას, ან ნებისმიერი სხვა გენერალური პროკურორი? ეს ხომ წარმოუდგენელია!

– თუ პოლიტიკურ დაკვეთაზეა საუბარი, მას ნებისმიერი შეასრულებს. რატომ ერთი და იგივე კადრები მეორე წრეზე?

– „ქართულ ოცნებაში“ საკადრო დეფიციტია. ახალი სახეები არ მიდიან. შოთაძის დაბრუნება პირველი შემთხვევა ხომ არ არის – ჩხენკელი, ღარიბაშვილი გავიხსენოთ. ბიძინა ივანიშვილი მხოლოდ უკვე კარგად გამოცდილ ხალხს ენდობა.

– გიორგი გახარიამ მისი წასვლა არც დაადასტურა და არც უარყო, ფინალურ სერიას დაველოდოთო. თუ მობრუნებაზეა საუბარი, შეიძლება, ბიძინა ივანიშვილი მობრუნდეს პრემიერის რანგში?

– მე ამას გამოვრიცხავ. გახარია, მაღალი ალბათობით, პრემიერის პოსტს დატოვებს, მაგრამ ივანიშვილი პრემიერად არ მობრუნდება. მისთვის ძალიან არაკომფორტულია მთავრობის სხდომების ჩატარება, პარლამენტში მისვლა, ანგარიშის ჩაბარება, ჟურნალისტებისთვის კითხვებზე პასუხების გაცემა. ბოლო ინტერვიუში კატასტროფული შეცდომები დაუშვა.

ივანიშვილმა იცის, რომ მისი საქმე არ არის პრემიერმინისტრობა, საჯარო პოლიტიკა. პრემიერად თუ დაბრუნდა, ამით ის საკუთარ სიძლიერეს კი არ აჩვენებს, პირიქით – საკუთარ სისუსტეს.

მაღალი ალბათობით, ივანიშვილი შეიძლება საარჩევნო სიის პირველი ნომერი გახდეს. თუმცა, ბოლო სოციოლოგიური კვლევებით, ბიძინა ივანიშვილს, სხვა ყველა ოპოზიციურ თუ სახელისუფლებო ლიდერთან შედარებით, დაბალი რეიტინგი აქვს. ეს არ არის მისთვის სახარბიელო მდგომარეობა. ამიტომ გამიჭირდება იმის თქმა, რომ შეიძლება, სიას თავად ივანიშვილი ჩაუდგეს სათავეში.

– მთავრობა სრული შემადგენლობით გადადგება?

– პრემიერი თუ შეიცვლება, მთავრობა მთლიანად უნდა შეიცვალოს. სამართლებრივად ასეა. ახალმა პრემიერმა თავად უნდა დაასახელოს მთავრობის ახალი შემადგენლობა.

– შემადგენლობის ცვლილებას გამორიცხავთ?

– არაფერს გამოვრიცხავ, თუმცა შეიძლება, ისევ იგივე პირები დაბრუნდნენ.

– ზაქარია ქუცნაშვილის პარლამენტში დაბრუნებაზე რას იტყვით? ის ამის შესახებ 20 იანვარს გააკეთებს განცხადებას.

– 20 ივნისის მოვლენების შემდეგ ზაქარია ქუცნაშვილის პარლამენტში ხელახლა მობრუნება მძიმე ამბავი იქნება, მაგრამ გაკვირვებით ნამდვილად არ გამიკვირდება, რადგან მაშინდელი შინაგან საქმეთა მინისტრის ქმედებებში სავარაუდო დანაშაულის ნიშნები გამოიკვეთა. მიუხედავად ამისა, ეს ადამიანი, გახარია, პრემიერად დააწინაურეს. ამიტომ ზაქარია ქუცნაშვილის დაბრუნება ამ სისტემაში შეიძლება უფრო ლოგიკურიც კი იყოს, ვიდრე გასაკვირი.

„ივანიშვილი გახარიას აპრილში გაუშვებს“

ზაზა ხატიაშვილი: „შოთაძის მობრუნებით „ოცნებამ“ აღიარა, რომ არჩევნებს წააგებს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს უფლებადამცველი, ადვოკატთა ასოციაციის ყოფილი თავმჯდომარე **ზაზა ხატიაშვილი** პასუხობს.

– ბატონო ზაზა, „ქართულ ოცნებაში“ მეორედ მოსვლა უკვე ტრადიციად იქცა. ყველა დარწმუნებულია, რომ მთავარი პროკურორი ირაკლი შოთაძე გახდება. რას ფიქრობთ ამ ყველაფერზე?

– კანდიდატურების წარდგენის ვადა ამოიწურა, ამ კანდიდატურებიდან კი გამოკვეთილი სახელისუფლებო კანდიდატი არის შოთაძე. ამიტომ ყველა საუბრობს იმაზე, რომ სწორედ შოთაძის დაბრუნება უნდა ივანიშვილს. ივანიშვილს რადგან უნდა, გააკეთებს კიდეც. თავისი მძღოლი რომ არ დაგვინიშნა მთავარ პროკურორად, კბილის ექიმი ან უდიპლომო ადამიანი, მე მგონი, ამაზეც მადლობა უნდა ვუთხრათ. ივანიშვილი საერთოდ გამოსულია სამართლებრივი სივრციდან.

– ასეთი შიმშილი აქვთ კადრების, რომ გამუდმებით წასულებს აბრუნებენ?

– არა, ასე არ არის...

– მაშინ რა ხდება, ერთგულ კადრებს ვერ პოულობენ? თალაკვაძემ განაცხადა, რომ პარლამენტის სრული მხარდაჭერა ექნება შოთაძეს.

– ივანიშვილი არის ხუშტურა ადამიანი. რაღაცას აიჩემებს და მერე ის უნდა გააკეთონ. აიჩემა შოთაძე, დანიშნა, აიჩემა – გააგდო, აიჩემა უდიპლომო თადუმაძე, დანიშნა. რასაც მე ვუყურებ, საერთოდ გამოსულია ეს კაცი სამართლებრივი სივრციდან. რა ვიცი, რას აკეთებს. ან თვითონ იცის, რას აკეთებს?!

– ყველა სფეროში ცუდი სიტუაციაა, სასამართლოშიც, პროკურატურაშიც, აბსოლუტურად ყველგან. რა ეშველება ამ ყველაფერს?

– პროკურატურაში ცუდი კი არა, კატასტროფული სიტუაციაა. თადუმაძემ ეს გაუბედურებული პროკურატურა იმ დონეზე დაანგრია, შექმნა ისეთი პრეცედენტები, რომ რა ვიცი, რა უნდა გვეშველოს ჩვენ?!

ერთ-ერთ ჩემს საქმეზე, რომელიც ძალადობას ეხება და სახელსა და გვარს ამ ეტაპზე სპეციალურად არ ვიტყვი, ადამიანი მისცეს პასუხისგებაში ოჯახურ ძალადობაზე, როცა ეს ადამიანი საბერძნეთში იმყოფებოდა მამის დაკრძალვაზე. აი, ეს პრეცედენტი შექმნა პროკურატურამ. მსგავსი პრეცედენტი სააკაშვილის რეჟიმის დროსაც არ ყოფილა.

როდესაც ასე აიხლართებიან, მერე იმისთვის, რომ საქმის პროკურორი გადაარჩინონ, სასწაულებს ჩადიან.

– ბატონო ზაზა, შოთაძე ხორავას ქუჩის ამბებს გადაჰყვა, ახლა ბრუნდება. რატომ, აღდგა სამართალი?

– ივანიშვილმა სამარცხვინო თამაში გაითამაშა, მიხვდა, რომ ბევრი ხალხი გამოვიდოდა ქუჩაში და გაუშვა შოთაძე. ვერც შოთაძის გაშვებამ რომ ვერ უშველა, გამოვიდა და დაჰპირდა პროპორციულ არჩევნებს. აქაც მოატყუა ხალხი და ვხედავთ, რომ შოთაძესაც უკან აბრუნებს.

– გადააგორა კრიზისი და აბრუნებს?

– დიახ. სწორედ ამიტომ ვამბობ, ქართველი ხალხი ხომ უყურებს, ეს კაცი როგორ დასცინის ქვეყანას. ამდენი პოლიტპატიმარი გვყავს. 20 ივნისის მოვლენებზე ყველა დაჭერილი ადამიანი ხომ პოლიტპატიმარია.

– ძალიან მძიმეა საერთაშორისო ორგანიზაციების დასკვნები, კვლევები. რაზე ფიქრობს ივანიშვილი? ფიქრობს, რომ ისევ დარჩება?

– ივანიშვილის რეჟიმი მიდის დასასრულისკენ. რასაც სააკაშვილი აკეთებდა, ერთი ერთში ჰგავს ეს ყველაფერი ერთმანეთს.

რა გადაადგილებებს აკეთებდა სააკაშვილი, ხომ ყველას გვახსოვს, ვანო მერაბიშვილი რომ გადმოიყვანა პრემიერ-მინისტრად, ახალაია – შს მინისტრად, კადრების როტაცია რომ გააკეთა, ერთი და იმავე კადრებით მანიპულირებდა.

ეს არის უკვე ბოლო ეტაპი დიქტატორების, რომლებსაც ქვეყანა მიჰყავთ დაღუპვისკენ. ივანიშვილი არის ჩვეულებრივი ფეოდალი დიქტატორი, რომელმაც ქვეყანა შეიყვანა სამართლებრივ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ჩიხში. აქედან გამოსავალი არის ის, რომ ყველა ადამიანმა უნდა ავიღოთ სამოქალაქო პასუხისმგებლობა და ყველას უნდა გავაგებინოთ, რომ არ შეიძლება, 30 ლარი ავიღოთ ხმის მიცემის სანაცვლოდ. გაზეთმა, ტელევიზიებმა რუბრიკა უნდა გააკეთონ იმისა, რომ არ აიღო 30 ლარი! არ გაყიდო ქვეყანა! თუ ამ ხალხმა არ გაიგო, რომ ხახვზე, ფქვილსა და კარტოფილზე ხმა არ უნდა მისცეს, ივანიშვილი უარესს გააკეთებს.

– შოთაძის დაბრუნებით ფარცხალაძის რეანიმაციაც მოხდება პროკურატურაში?

– ფარცხალაძე არც არსად წასულა. ფარცხალაძეს აქვს თავისი დანიშნულება, რომელიც კონკრეტულ სფეროებს აკონტროლებს.

– იატაკქვეშეთში მოღვაწეობს?

– კი, ასეა. აქედან გამომდინარე, ფარცხალაძეს ამ არჩევნების წინ მიეცემა გარკვეული ამოცანა. ამ ადამიანებს ივანიშვილი ავალებს, ვინ რამდენი პროცენტი უნდა მოიტანოს. ზუსტად ამას აკეთებდა სააკაშვილიც.

– რეჟიმი დღეებს ითვლისო და უფრო საშიშები ხომ არ გახდებიან?

– სააკაშვილის რეჟიმიც ხომ ძალიან საშიში იყო, მაგრამ ის რეჟიმი დამარცხდა და წავიდა. ბიძინამ რომ დაინახა ერთი წლის თავზე, რომ არ

„არ აიღო 30 ლარი! არ გაყიდო ქვეყანა!“

შეეძლო ქვეყნის მართვა, დაიწყო ფიქრი ისეთი რეჟიმის შექმნაზე, რომელიც პოლიტიკურ ძალაუფლებას შეუნარჩუნებდა.

ეს იყო ქვეყნის მურუსიზაცია და ჩინჩალაძიზაცია. ფაქტობრივად, კოლექტიური მურუსიძეები და ჩინჩალაძეები გვყავს ყველგან – სასამართლოში, პროკურატურაში, ფინანსთა სამინისტროში, ეკონომიკის სამინისტროში, ჯანდაცვის სამინისტროში თუ კულტურის სამინისტროში – აბსოლუტურად ყველგან! აქედან გამომდინარე, სანამ ეს სიტუაცია იქნება, ქვეყანა ვერ განვითარდება!

– რა არის საჭირო, რომ ქვეყანა განვითარდეს?

– ყველა ადამიანი მივიდეს არჩევნებზე და ყველამ ერთის წინააღმდეგ მისცეს ხმა. სააკაშვილი იყო ბიძინაზე ორჯერ ძლიერი, მაგრამ ხალხი აღდგა რეჟიმის წინააღმდეგ. ახლაც მოვიდა დრო, რომ მთელი სამოქალაქო საზოგადოება გაერთიანდეს და თქვას, რომ მე არ მინდა, ამ ადამიანმა დამცინოს, მე არ მინდა, რომ 30-ლარიანი ხმის გამყიდველი მერქვას და ყველამ ერთად უნდა უთხრას ბიძინას – არა!

ბიძინა რომ წავა, ყველა კარგად დაინახავს, რომ ის არც ისეთი ქველმოქმედი ადამიანია, როგორადაც თავს გვაჩვენებს. მან ერთიასად ამოიღო ის, რაც საქართველოში ჩადო.

– ამბობენ, გახარიასაც შეცვლისო. რატომ, არც მას ენდობა?

– არა მგონია, აპრილამდე შეცვალოს, აი, აპრილში კი ნამდვილად გაუშვებს. გახარია სისხლის სამართლის დამნაშავეა. მან ახალგაზრდებს თვალები დასთხარა.

– ანუ აპრილში გაუშვებს?

– კი, სხვანაირად გამორიცხულია. აუცილებლად გაუშვებს.

– ვისით ჩაანაცვლებს? ამბობენ, რომ არ ჰყავს მასავით ძლიერი კადრი.

– ძლიერია გახარიაო. რა აქვს მას ძლიერის?! ერთადერთი პრემიერ-მინისტრია, რომელმაც საქართველოს ეკონომიკა გააჩერა ზამთრისა და ზაფხულის კურორტებზე.

პრემიერის ერთადერთი დანიშნულებაა, თუ ვერაფერს მოიზიდავს, სტაბილურობა მაინც შეინარჩუნოს და ზამთრისა და ზაფხულის კურორტებისთვის მოამზადოს ქვეყანა. დამისახელეთ რომელიმე პრემიერი, რომელმაც 1 იანვარს ზამთრის კურორტები დატოვა უწყლოდ!

ე.ი. ყველაზე უტვინო გამოდის, ხომ, გახარია! ეს არ გაუკეთებიათ არც კვირიკაშვილს, არც ბახტაძეს და არც ღარიბაშვილს. ასეთი სისულელე არავის უქნია. ძალიან მიკვირს, როდესაც ამბობენ, ძლიერი ფიგურაა. ძლიერი ფიგურა კი არა, ის არის ყველაზე სასტიკი ადამიანი, რომელსაც გონებრივი მონაცემები აშკარად ძალიან სუსტი აქვს. ჩააგდო მთლიანად საკურორტო სეზონი და ეს არის ძლიერი?!

ყოფილი პრემიერ-მინისტრი ციხეში ზის ზუსტად იმის გამო, რომ ადამიანები დაარბია და დაასახიჩრა. ისეთი უტვინო როგორ უნდა იყო შს მინისტრი, რომ იგივე დანაშაული გაიმეორო, რაც მერაბიშვილმა ჩაიდინა. მალე გახარიაც ციხეში აღმოჩნდება. მერაბიშვილი გამოდის და ის ჩაანაცვლებს.

– ანუ დასასრულისკენ მიდის რეჟიმი და ვერაფერი უშველით?

– აბსოლუტურად ვერაფერი. შოთაძეს, იცით, რატომ აბრუნებს ივანიშვილი?!

– რატომ?

– შოთაძე არის ჭკვიანი. შოთაძე თადუმაძე არ არის. შოთაძე რომ საქმეში ჩაიხედავს, მან იცის, ის საქმე შეკერილია თუ ნამდვილად მოხდა დანაშაული. თადუმაძეს ამის ტვინი არ ჰქონდა.

შოთაძის დანიშვნა იმიტომ სჭირდება ივანიშვილს, რომ იცის, არჩევნებს ველარ მოიგებს და მოუწევს წასვლა, ხოლო გენერალური პროკურორი არის 6-წლიანი თანამდებობა. ვერც სააკაშვილი მოვა ხელისუფლებაში კოალიციის გარეშე. ამიტომ მას სჭირდება პროკურორად თავისი კაცი.

უსაფრთხოების სამსახურშიც ივანიშვილი დატოვებს თავის კადრს. შემოდგომაზე იქ ცვლილებებს განახორციელებს და კვლავ გომელაურს დააბრუნებს. სწორედ ამ ორ ადამიანს დატოვებს მომავალში სიტუაციის გასაკონტროლებლად.

ივანიშვილმა შოთაძის მობრუნებით აღიარა, რომ არჩევნებს წააგებს.

თამაზ ბაკურიძე: „აჭარაში თურქმა ბიზნესმენმა 27 საფლავი დააყადაღა“

გულიკო ბალაძე

რატომ დააყადაღეს აჭარაში, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ მარადიდში 27 საფლავი? როგორ იქცევიან თურქული კომპანიები საქართველოში? რას აპროტესტებს მარადიდის მოსახლეობა? ამის თაობაზე „ახალ თაობას“ უფლებადამცველი **თამაზ ბაკურიძე** ესაუბრა.

– ბატონო თამაზ, მარადიდის მოსახლეობა რას აპროტესტებს? თურქული კომპანია მარადიდელების საფლავებს შეეხოო. რეალურად, რა ხდება?

– ეს თემა, რომლითაც თქვენ დაინტერესდით, ძალიან მწვავედ დგას რეგიონში. თურქულ გავლენებზე ჩვენ ერთხელ უკვე ჩავწერეთ ინტერვიუ, რასაც მოჰყვა რეაგირება.

– რა რეაგირება მოჰყვა?

– თურქეთის ელჩმა საქართველოში ილია მეორესთან შეხვედრის დროს განაცხადა: სამწუხაროდ, თურქეთის წინააღმდეგ საქართველოში ცუდი პროპაგანდა ხორციელდება, რაც ცუდად აისახება საქართველო-თურქეთის ურთიერთობებზეო. თქვენთან ინტერვიუს შემდეგ, ბათუმში თურქეთის კონსულს შევხვდი. მე მას ვუთხარი, მესმის, თქვენი ელჩი შეწუხებულია, თითქოს საქართველოში პროპაგანდა მიდის თურქეთის წინააღმდეგ. არა და არა, ყოველი ჩემი განცხადება, ჩემი ღელვა, განცდა სწორედ იმას ეფუძნება, რომ აჭარაში ისეთი რამ არ მოხდეს, რაც ორი ქვეყნის ურთიერთობაზე აისახება.

ძალიან კარგად მახსოვს, რომ აჭარა თურქეთის მოსაზღვრე რეგიონია. ძალიან კარგად მახსოვს, რომ 90-იან წლებში, როდესაც საქართველოსთვის ყველა კარი ჩაიკეტა, თურქეთმა მეგობრობის ხელი გამოგვიწოდა. მე ვარ მოწმე, როგორი ურთიერთობა ჰქონდა რეგიონის ხელმძღვანელობას თურქეთის ხელისუფლებასთან, პრეზიდენტთან, პრემიერთან. მახსოვს, გაჭირვების დროს ფქვილით რომ გვეხმარებოდნენ.

ამ ურთიერთობებს კარგი ფუნდამენტი აქვს და მასზე ცუდი შენობა არ უნდა დაიდგას. ახლა ბათუმში მოღვაწე თურქი ბიზნესმენები საქართველოს მოქალაქეების უფლებას რომ ლახავენ, როგორც უნდათ, ისე ექცევიან, როგორც უნდათ, ისე ამუშავებენ მონებივით, ზედმეტი დროით ამუშავებენ, ჩვენს მოქალაქეებთან ბატონ-ყმური ურთიერთობები აქვთ, ნორმალურია? აჭარაში ინვესტიციების 80% თურქულია.

– თქვენ ამის თაობაზე ინფორმაციას გაწვდიან?

– დიახ. რაც თქვენ გითხარით, იმაზე თურქეთის კონსულსაც ველაპარაკე. აჭარაში 20 ათასამდე ადამიანია დასაქმებული. აქედან დაახლოებით 16 ათასი დაჩაგრულია. შეიძლება მითხრათ, დაჩაგრული თუ არის, წავიდეს და სხვაგან იმუშაოსო. სად წავიდეს.

– 20 ათასი ადამიანი თურქულ კომპანიებშია დასაქმებული?

გაგრძელება მე-5 გვერდზე

შოთა მალაშხია: „ოპოზიციამ მთელ ქვეყანაში პარალელური სტრუქტურები უნდა შევქმნათ“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ასეთი საკადრო კარუსელებით ივანიშვილი უარყოფით რეიტინგს გაიზრდის.

– იზღუდება თუ არა ადამიანი სოციოლოგიური გამოკითხვისას, არ ვიცი. თავისუფალ საუბრებში იგრძნობა, რომ დიდი ნეგატივია როგორც ივანიშვილის, ისე სააკაშვილის მიმართ.

– რეალობა ისაა, რომ პოლიტიკური ველი ცარიელია. ძალიან ბევრი ადამიანი არ ჩამოყალიბებულა თავის არჩევანში. ეს ხალხი მიემხრობა იმ დიდ გაერთიანებას ან მოძრაობას, რომელიც მათ რეალურ გამოსავალს შესთავაზებს და რომელიც ორიენტირებული იქნება პროგრესზე.

თავის არჩევანს ბევრი ნანობს. 2012 წელს ზოგმა დაიჯერა, რომ „ქართული ოცნება“ მაცივარს უყიდდა, ზოგს უფასო ფული სჭირდებოდა, ზოგს დასაქმება, ზოგს – ხვნა-თესვაში დახმარება და ა.შ.

– ზოგმა „ქართულ ოცნებას“ იმიტომ დაუჭირა მხარი, რომ სააკაშვილმა ან მისმა რომელიმე მოხელემ აწამა, ქონება წაართვა.

– სამწუხაროდ, იმ ხელისუფლების მმართველობის ბოლო წლებში იყო ასეთი შემთხვევები. არადა, თავიდან ყველაფერი კარგად ეწყობოდა – იქმნებოდა სტრუქტურები, ივსებოდა ბიუჯეტი, რიგდებოდა საპენსიო დავალიანებები. მაშინ სასამართლოსთვისაც უნდა მიეხედათ და აეკრძალათ პოლიტიკური დავალებების შესრულება. ეს რომ მომხდარიყო, ივანიშვილი ამ თემას ვერ ჩაეჭიდებოდა.

– ოპოზიციური ერთობის გეგმებზე მინდა გკითხოთ. თქვენი პარტნიორები იანვარში ეროვნული წინააღმდეგობის დაწყებას აანონსებდნენ. ირკვევა, რომ იანვარში ამგვარი არაფერი იგეგმება.

– ამ მომენტში ამის აზრს ვერ ვხედავ. პირადად ჩემს პოზიციას მოგახსენებთ. აშკარაა, რომ ივანიშვილი არაფრის შეცვლას არ აპირებს. არჩევნები გაიმართება ახლანდელი სისტემით. ამის მიუხედავად, ჩვენ მოლაპარაკებათა პროცესს არ უნდა გამოვეთიშოთ. აშშ-ს, ევროკავშირს, რომლებიც მონაწილეობენ ამ დიალოგში, უნდა ავუხსნათ, რომ ივანიშვილი ცვლილებების წინააღმდეგია.

– ჯობია, არჩევნებისთვის მოემზადოთ?

– რასაკვირველია. ვინაიდან არ გამოვიდა, უნდა მოვემზადოთ არჩევნებისთვის შერეული სისტემით. ჩემი პირადი აზრია, რომ ასევე საჭიროა პარალელური სტრუქტურების შექმნა.

– ხელისუფლების პარალელური სტრუქტურების შექმნა?

– დიახ. მთელი ქვეყნის მასშტაბით. ტენდერები ყველგან დარღვევებით ტარდება. კორუფცია ყველგანაა. ერთად ბევრი პარტია ვართ. გვაქვს რაიონული განყოფილებები. ასეთი სტრუქტურების შექმნა არ გაგვიჭირდება.

კორუფციაში ცხოვრება არავის უნდა. ხალხი მხარს დაგვიჭერს. ყველაფერს შევისწავლით და ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ზომებს მივიღებთ. კორუფციას შეძლებისდაგვარად ამოვძირკვავთ. ყველაფერი ბუნებრივად წარიმართება.

იქნება თუ არა ეროვნული წინააღმდეგობა, ამას დრო გვაჩვენებს. შეიძლება ეს დრომ მოიტანოს. თბილისში ჩატარებულ ტენდერს რომ ვაკრიტიკებთ, სხვაგან, მაგალითად, იმერეთში ამბობენ, ჩვენთანაცაა ეს უკანონობაო. ამიტომ, ყველა რეგიონი უნდა მოვიცვათ. ამ ფონზე ხელისუფლება ხომ საერთოდ გაქრება!

– არჩევნებზე?

– არჩევნებზე. ხოლო თუ ივანიშვილმა არჩევნები გააყალბა, მაშინ „ქართული ოცნებისგან“ არაფერი დარჩება. ამას ხალხი არ მოითმენს.

– ხელისუფლებას აქვს რესურსები, ჰყავს ექსპერტები, რომლებიც ხანდახან მას აკრიტიკებენ, მაგრამ ხშირად ამბრა ზურასავით ეფარებიან.

– რისი მაქნისები არიან ეს ექსპერტები?! ვინ მიანიჭათ მათ ეს წოდება? ჯერ ერთი, პროფესიონალი ანალიტიკოსი ობიექტურია. ნაძირლები ექსპერტებს შორისაც გვხვდებიან. მათაც უჭირთ რეალობის გადაკეთება და დამახინჯება. მით უმეტეს, ამას ვერ შეძლებენ „ოცნების“ გარშემო შეკრებილი არაპროფესიონალები.

მათ ხალხზე არანაირი გავლენა არა აქვთ. ექსპერტები რომ იტყვიან, კარგად ცხოვრობთო, ადამიანებს ამით მაცივრები არ ევსებათ. ისინი ვერც ივანიშვილის განცხადებებს შეალამაზებენ. საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის შემდეგ ივანიშვილი ერთ წელიწადში მდგომარეობის გამოსწორებას დაგვპირდა. ამ პერიოდში ბევრი ცუდი მოვლენა მოხდა, ხალხი უფრო გაღარიბდა. ახლახან ივანიშვილმა მოგვიწოდა, ქვეყანა დავტოვოთ და გერმანიაში დავსაქმდეთ.

– ანგელა მერკელი ხსნის გერმანიის შრომის ბაზარს გერმანული ენის მცოდნე გარკვეული სპეციალისტებისთვის. საქართველოს მთელ უმუშევრებს იქ ვინ დაასაქმებს? ან ყველა რატომ უნდა გადაიხვეწოს?

– მეც მაგას ვამბობ. რომელი ქვეყნის ხელისუფლება ერეკება თავის მოსახლეობას საზღვარგარეთ! ივანიშვილმა გვითხრა, საქართველო დატოვეთო. ამას ამბობს მილიარდერი, რომლის „ქართუ ბანკი“ უფრო გამდიდრდა.

ივანიშვილმა ნახევარი საქართველოს მიწები იყიდა. თვითონ და თავისი გარემოცვა მდიდრდება, დანარჩენი ქვეყანა ღარიბდება და ამ ხალხსაც ეუბნებიან, ქვეყნიდან წადითო.

სასამართლომ „რუსთავი 2“-ის საქმეზე აქიმიძისა და დვალის სარჩელი არ განიხილა

ქიბარ ხალვაშის წილს ყადაღა მოეხსნა

თბილისის საქალაქო სასამართლომ მოსარჩელეების ჯარჯი აქიმიძისა და დავით დვალის სარჩელი განუხილველად დატოვა.

ამის შესახებ განცხადებას თბილისის საქალაქო სასამართლო ავრცელებს.

2020 წლის 10 იანვარს, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მოსარჩელეების ჯარჯი აქიმიძისა და დავით დვალის (წარმომადგენელი – კახა კოჟორიძე) სარჩელი, მოპასუხეების ქიბარ ხალვაშისა და პაატა კარსანიძის მიმართ წილის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის, საჯარო რეესტრში წილის რეგისტრაციის გაუქმებისა და შპს-ს წილის მესაკუთრედ ცნობის მოთხოვნის თაობაზე განუხილველად დატოვა.

„სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ მოსარჩელე მხარემ ვერ უზრუნველყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნის დაცვა, კერძოდ, სარჩელისა და თანდართული მასალების მოპასუხისთვის ჩაბარება და კანონით დადგენილ ვადაში ჩაბარების ან/და ჩაუბარებლობის დამადასტურებელი დოკუმენტების სასამართლოში წარმოდგენა.

მოსარჩელის მხრიდან კანონით დადგენილი ნორმის მოთხოვნის შეუსრულებლობის გამო, სასამართლომ მოცემულ საქმეზე გააუქმა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 18 ოქტომბრის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლის საფუძველზეც ყადაღა დაედო შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ის პარტნიორის ქიბარ ხალვაშის კუთვნილ 60% წილს.

სასამართლოს განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით მხარისათვის მისი ჩაბარებიდან 12 დღის ვადაში თბილისი სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში“ – აღნიშნულია თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ადვოკატ კახა კოჟორიძის განცხადებით, ამ საქმეში მთავარი მოპასუხე არის ქიბარ ხალვაში, რომელსაც სასარჩელო განცხადება ჩაბარებული ჰქონდა და, შესაბამისად, საქალაქო სასამართლოს საქმის წარმოების დაწყება თავისუფლად შეეძლო.

– ახლიდან შევიტანთ ამ სარჩელს და ეს პრობლემა მოგვარდება, ორი თვე დავკარგეთ მხოლოდ ამის გამო. ეს არის კომიკური მიზეზით უარის თქმა. როგორც წესი, განხილვა ხდება ხოლმე მოსამზადებელ სხდომაზე. სასამართლო ღებულობს განჩინებას, რადგან მოპასუხე მხარეს არ ბარდება, მოდი, შეტყობინება გავგზავნოთ, ამ შემთხვევაში ეს სასამართლოს არ გაუკეთებია.

ჯარჯი აქიმიძის აზრით, ეს გადაწყვეტილება სასამართლომაც და ხელისუფლებამაც დროის გაწელვის

მიზნით მიიღეს.

– ვფიქრობთ, რომ ეს არის დროის გაწელვის ერთ-ერთი მეთოდი, ჩვენ არ გავჩერდებით და გამოვიყენებთ ყველა სამართლებრივ ბერკეტს და ჩვენ ამ პროცესს მოვიგებთ, – განაცხადა ჯარჯი აქიმიძემ.

ირაკლი შოთაძე მზადაა, გენერალური პროკურორის თანამდებობაზე დაბრუნდეს

ირაკლი შოთაძე მზადაა, გენერალური პროკურორის თანამდებობაზე დაბრუნდეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანმა ირაკლი გაბისონიამ განუცხადა, საპროკურორო საბჭოს გენპროკურორის პოსტზე ირაკლი შოთაძის კანდიდატურა თავად შოთაძესთან შეთანხმებით წარუდგინეს.

– ბუნებრივიცაა, რომ კანდიდატი უნდა იყოს თანახმა. მისი წერილობითი თანხმობა საჭიროა. განიხილებოდა რამდენიმე კანდიდატი, მათ შორის ბატონი ირაკლის კანდიდატურაც. შემდეგ ეს კანდიდატურათა ნუსხა გადაეგზავნა აკადემიურ საბჭოს და მათ შეარჩიეს ირაკლი შოთაძის კანდიდატურა და წარადგინეს იმ ორგანოში, ვინც ამ საკითხს წყვეტს. ირაკლი შოთაძე ნამდვილად მუშაობს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე. არის ასოცირებული პროფესორი, უძღვებოდა საგანს „მტკიცებითი სამართალი“, მაგისტრატურის სტუდენტებს უკითხავდა ლექციებს.

ამ სემესტრში მას სალექციო კურსი არ ჰქონია. მომავალ სემესტრში თუ ექნება სურვილი და თუ რამე არ შეიცვალა, დიდი ალბათობით წაიკითხავს „მტკიცებით სამართალს“, – განაცხადა გაბისონიამ.

მისივე თქმით, აკადემიურ საბჭოზე ირაკლი შოთაძესთან ერთად რამდენიმე მოქმედი პროკურორის კანდიდატურაც განიხილებოდა, რომლებიც

სტუ-ს ლექტორებიც არიან.

– სახელებსა და გვარებს მათი თანხმობის გარეშე ვერ დავასახლებ. ირაკლი შოთაძე ძალიან საინტერესო ლექტორია, ძალიან კარგად კითხულობს ლექციებს. პროფესიონალი იურისტია. შემიძლია თქვენც დაგასწროთ მის ლექციებს. ნახავთ, როგორი ანშლაგია, სტუდენტების დაინტერესებაა. პროფესიული კუთხით არის მაღალკვალიფიციური იურისტი, თავის საქმის მცოდნე.

ჩვენი შეფასების კრიტერიუმი ესაა, დანარჩენი პოლიტიკური ნაწილი ჩვენ არ გვეხება.

რატომ ირაკლი შოთაძე? იმიტომ, რომ ალბათ უფრო მეტი გამოცდილება აქვს. მენეჯერული თვისებებიც უნდა ჰქონდეს ამ თანამდებობისთვის, ალბათ, ამაზე გააკეთეს აქცენტი, რომ მას ჰქონდა მენეჯერული თვისებები და გამოცდილება. ამიტომ მიიღეს ასეთი გადაწყვეტილება, – განაცხადა დეკანმა.

თეა წულუკიანი: „ქართულმა მხარემ ლავასოღლის ექსტრადიცია მოითხოვა“

– ის, რომ ქართულმა მხარემ არ მოითხოვა ლავასოღლის ექსტრადიცია, არ შეესაბამება სიმართლეს.

ამის შესახებ იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა ჟურნალისტებთან განაცხადა.

მისივე ინფორმაციით, ლავასოღლი თურქულმა მხარემ სწორედ იმიტომ დააკავა, რომ მისი ექსტრადიცია საქართველომ მოითხოვა.

– პროცედურები კვლავ მიმდინარეობს. მოთხოვნილი რადგან იყო, ამიტომ დააკავეს, სხვა მიზეზი თურქულ მხარეს, ალბათ, არ ჰქონდა. დააკავეს, როცა ქართულმა პროკურატურამ მოითხოვა მისი ექსტრადიცია. შესაბამისად, ის, რომ ქართულმა მხარემ მისი ექსტრადიცია არ მოითხოვა დოკუმენტურად, არ შეესაბამება სიმართლეს, – განაცხადა თეა წულუკიანმა.

თურქული მედიის ცნობით, საქართველო უარს აცხადებს, მიიღოს კრიმინალური ავტორიტეტი მინდია გორაძე, იგივე მინდია ლავასოღლი, რომლის ექსტრადიციასაც ქვეყანაში თურქეთი გეგმავს.

მედიის ცნობით, ლავასოღლის საქართველოში ექსტრადიციის ბოლო ვადა თებერვალში იწურება და თუ თბილისი მის მიღებაზე კვლავ უარს განაცხადებს, ანკარას მოუწევს მისი გათავისუფლება.

თამაზ ბაკურიძე: „აჭარაში თურქმა ბიზნესმენმა 27 საფლავი დააყადაღა“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

– დიახ. ავიღოთ „აჭარატექსტილი“, სამკერვალო ფაბრიკები, ყველა თურქულია. არ იფიქროთ, რომ ამ სამკერვალო ფაბრიკებში ცოტა ადამიანია დასაქმებული. ფაბრიკები აქვთ ხელვაჩაურში, ბათუმში, ჩაქვში, ბობოყვათში. მხოლოდ ბობოყვათის სამკერვალო ფაბრიკაში 1500-მდე ადამიანი მუშაობს. საქართველოში თურქებს ასეთი დაახლოებით 10 ფაბრიკა აქვთ. წარმოიდგინეთ, რა რაოდენობაა. როცა ამ ფაბრიკებში დასაქმებულებს ვესაუბრები, მეუბნებიან, რა ვქნათ, ბატონო თამაზ, სხვა გზა არ გვაქვსო.

არსებული ვითარების შესახებ ისინი ინფორმირებული არიან, მაგრამ იციან, ჩვენს მოქალაქეებს სხვაგან წასასვლელი, სხვაგან დასაქმებისა და სხვა შემოსავლის წყარო არ გააჩნიათ. ამით თურქი ბიზნესმენები სარგებლობენ.

ქალაქ ბათუმში ყველა სუპერმარკეტი თურქულია. იქაც იგივე დამოკიდებულებაა. მეკითხებიან, რა გვეშველება, ვინმემ ხომ უნდა გვიშველოსო. ვეუბნები, თუ ხმა არ ამოიღეთ და ერთმანეთის გვერდით არ დადექით, ვინ დაგეხმარებათ-მეთქი.

– ხმა რომ ამოიღონ, მეპატრონე გაუშვებს სამსახურიდან.

– რა თქმა უნდა. ათმა ადამიანმა ხმა რომ ამოიღოს და ასმა უყუროს, არ გამოვა. სამკერვალო ფაბრიკაში 1500 ადამიანიდან 480-მა რომ ამოიღოს ხმა, შედეგს მიაღწევთ. სად ნახავს დამსაქმებელი 480 ადამიანს ერთ დღეში. ამიტომ დათმობაზე წავა. ეს იქნება მაგალითი იმისა, რომ ხმის ამოღებას ძალა აქვს. მე კერძო კომპანიებში შესვლის უფლება არ მაქვს, რომ იქ რაღაც მუხტი შევიტანო.

ავტობანზე ზოგიერთი ქვეკონტრაქტორი კომპანიაც თურქულია. ქართველები ავტობანზე მუშაობენ მძღოლებად, დაცვაში. იქაც არ არის კარგი ვითარება. კონსულს ვუთხარი, ერთეული შემთხვევა რომ იყოს, გასაგები იქნებოდა. ეს ხალხი სახლში რომ მიდის, გულში მადლობას კი არ გიხდით, რომ დასაქმებულია, არამედ უარყოფითად არიან განწყობილი-მეთქი.

ერთ მშვენიერ დღეს ამ ყველაფერმა, შეიძლება, იფეთქოს, ამით ვიღაცამ ისარგებლოს და ცუდი რამ მოჰყვეს. ნუ იფიქრებთ, რომ მე თურქეთის წინააღმდეგი ვარ. ბიზნესმენები მიწას ყიდულობენ გარკვეული შეთანხმებით კომერციული ფართის გადაცემის შეპირებით, შემდეგ კი შეთანხმებას არღვევენ. სასამართლოში საქმე დიდი ხანი გრძელდება.

– რა ხდება მარადიდში?

– კირნათში, მაჭახლის ხეობაში, თურქულმა კომპანიამ „კირნათიენერჯ2007-მა“ რამდენიმე ათეული კილოვატი სიმძლავრის ჰესი ააშენა. ამის გამო მაჭახლის ხეობაში პროტესტი იყო, რადგან არ არის გაკეთებული გეოლოგიური-საინჟინრო კვლევა, გარემოზე ზემოქმედების შეფასება, თუ რა ზიანს მოუტანს ამ კუთხეს ჰესის აშენება. ჰესი შენდება მდინარე ჭოროხზე, რომელიც თურქეთიდან შემოედინება.

– ჭოროხზე თურქეთის მხრიდანაც ხომ არის კაშხალი.

– დიახ, დემირელის კაშხალი. კირნათში აშენებული ჰესის სრული ფუნქციონირებისთვის საჭიროა რამდენიმე ჰექტარი მიწის დატბორვა. დატბორვის ზონაში მოხვდა მოსახლეობა და მისი საკუთრება – საკარმიდამო ნაკვეთები, ხეხილი, რომელიც არის მათი შემოსავლის წყარო. დატბორვის ზონაში მოჰყვა საფლავებიც. მოსახლეობის გარკვეულ ნაწილთან შეთანხმება ვერ მოხერხდა.

– სანამ ჰესის მშენებლობას დაიწყებდნენ, მოსახლეობას არ შეუთანხმდნენ?

– მოსახლეობასთან შეთანხმება არ მოხდა. ადამიანებს უხვმოსავლიან რეგიონში (ზოგს სოფლის მეურნეობა აქვს აწყობილი, ზოგს – ხეხილი), ტურისტულ ზონაში, კვადრატულ მეტრში 18 ლარს სთავაზობენ. 2008 წელს 20 ლარს სთავაზობდნენ.

– ასეთ რეგიონში რატომ დაიგეგმა დიდი ზომის ჰესის მშენებლობა?

– ეგ სააკაშვილს უნდა ჰკითხოთ, მისი პროგრამა იყო შუახევისა და მაჭახლის ხეობაში ჰესების მშენებლობის დაგეგმვა. საერთოდ, ხალხის პრობლემებით და გარემოზე ზემოქმედების შეფასებით, მაშინ არავინ დაინტერესებულა, არც არავის მოუთხოვია. ახლა გვიანაა.

– ჰესის მშენებლობა დასრულებულია?

– ჰესი უკვე აშენებულია და ფუნქციონირებს. შარშან თებერვალში წყლის ზედმეტი დაგუბება მოუვიდათ და ორი სათევზე მეურნეობა დაიტბორა. თითო ოჯახმა დაახლოებით 100 ათასით იზარალა. ზარალზე ანაზღაურების მოთხოვნით კომპანიას მიმართეს, ერთი წელია იბრძვიან, მაგრამ არანაირი პასუხისმგებლობა კომპანიას არ აუღია. მოსახლეობის არც ერთი მოთხოვნა არ დაუკმაყოფილებია.

– სასამართლოში რატომ არ ჩივიან?

– სასამართლოში ჩივიან, განხილვებიც მიდის. მე ვსაუბრობ დამოკიდებულებაზე – იმ თურქმა ხომ იცის, რომ სოფელი დაიტბორა, ტელევიზიებმა ხომ აჩვენეს. ისე სწრაფად მივარდა წყალი, ბავშვები ძლივს გადარჩნენ. თან იქ სკოლის გზა გადის.

– კაშხალი გაირღვა?

– წყლის დაგუბება ხომ უნდა მოხდეს, რომ ჰესმა სრულყოფილად იმუშაოს, ზედმეტი წყლის დაგუბება მოხდა, გადმოვიდა, იქ მოსახლეობა ცხოვრობს, ავიდა მათ საკარმიდამო ნაკვეთებში. წყალმა სახლებში, ეზოებში მიაკითხა. ის ზარალიც არ არის ანაზღაურებული. რა ქვეყანაში ვცხოვრობთ, ვიღაც თურქი გადმოსულია და ადამიანს, რომელიც თავის მიწა-წყალზე ბიზნესს აწარმოებს, აზარალებს, ხალხს ტბორავს, ახრჩობს, აზარალებს, ბიზნესებს ართმევს, ატერორებს და არავინ პასუხს არ სთხოვს.

ხელმძღვანელობა არასოდეს ადგილზე არ არის. რამდენჯერაც მივედით, თურქეთშია. სახით მაინც გვაჩვენეთ, ვინ არისმეთქი. ოჯახებს საფლავები დაუყადაღეს.

– საფლავების დაყადაღება რას ნიშნავს? სასამართლომ დააყადაღა?

– გასულ წელს ის მოსახლეობა, რომელიც გასახლებას არ თანხმდებოდა, დაიბარეს ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში, თბილისში. მოსახლეობამ საუბარი დაიწყო დატბორვაზე და ჰესის მშენებლობის გამო შექმნილ პრობლემებზე. უპასუხეს, რომ ეს მათ არ აინტერესებდათ. აბა, რისთვის დაგვიბარეთო? გვაინტერესებდა, მიწას ყიდით თუ არაო. ხალხმა უპასუხა, ჩვენ ხელს არ ვუშლით დამოუკიდებელი ენერგეტიკის განვითარებას, მაგრამ ხომ უნდა გვკითხოთ, რა დამოკიდებულება გვაქვსო.

ამ ადამიანებს ეკონომიკის სამინისტრო ეუბნება, ამდენს გაძლევთ, თუ არ გაწყობთ და არ დათმობთ, ძალით გამოგასახლებთო.

ნოემბერში ეკონომიკის სამინისტრომ მიიღო ამ ადამიანებისთვის ძალით გამოსახლების გადაწყვეტილება. იმის მაგივრად, რომ ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენლობა რეგიონის ხელმძღვანელობასთან ერთად მარადიდში ასულიყო, ხალხისთვის ეთქვა, ამ ზარალსაც აგინაზღაურებთო, ხალხს ქონების ჩამორთმევით ემუქრებიან.

– სამინისტროს ადამიანების ქონების ექსპროპრიაციის უფლება აქვს?

– კანონი შეცვალეს. კანონით სამინისტროს აქვს უფლება, იმ შემთხვევაში, თუ საქმე სახელმწიფო მნიშვნელობის პროექტის განხორციელებას ეხება, ექსპროპრიაციის გადაწყვეტილება მიიღოს და მოსახლეობა იქიდან ძალით გამოასახლოს სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე. წარმოგიდგენიათ, მაჭახლის ხეობაში, სასაზღვრო რეგიონში, შეიყვანო პოლიცია, კიდევ რაღაც ძალა და ძალით შეეცადო გამოსახლება. ის ხალხი არ დათმობს, იბრძოლებს. ბოლო საპროტესტო აქციის დროს სხვა სოფლებიდანაც მივიდნენ და უთხრეს, თუ ბრძოლას დაიწყებთ, ჩვენ თქვენს გვერდით ვართო. წარმოვიდგინოთ, ამ ყველაფერს რა მოჰყვება.

ხელისუფლების მხრიდან უფრო გონივრული და ბრძნული მიდგომაა საჭირო. მესმის, ინვესტიციები მნიშვნელოვანია, ჩვენ ინვესტორები უნდა დავიცვათ, მაგრამ, პირველ რიგში, საკუთარი მოქალაქეების დაცვა გვევალება. მით უმეტეს, როდესაც ინვესტორი ჩვენი მოქალაქეების უფლებებს ლახავს და ღირსებას შეურაცხყოფს.

კაცს 27 წინაპრის საფლავი დაუყადაღო, ვის გაუგია? ასეთი რამ მსოფლიოს რომელ ქვეყანაში ხდება? იმ კაცმა წინაპრების საფლავთან მისვლა რომ მოინდომოს, ვერ მივა.

– ანუ წინაპრების საფლავებზე ვერ მიდიან?

– ასეთი შეურაცხყოფა შეიძლება ადამიანს მიაყენო? წინაპართა საფლავები ღმერთის შემდეგ ყველაზე წმინდაა. აჭარაში ასეა. საფლავის დაყადაღება ვის გაუგონია? თბილისში, ეკონომიკის სამინისტროს მესვეურებს წარმოუდგენიათ მაინც, დალუქული საფლავების ძალით გადათხრა ვინმემ რომ მოინდომოს, რა მოჰყვება ამგვარ ქმედებას მთლიანად აჭარაში? როდესაც დაინახავენ, წინაპართა საფლავებს ძალით თხრიან და გადააქვთ, შეიძლება ამან აფეთქება გამოიწვიოს მთლიანად რეგიონში, რადგან ყველაზე წმინდას ეხებიან. ძალიან გთხოვთ, ეს დიდი ასოებით დაწერეთ, რომ მანდ, თბილისში, ამაზე ვინმე დაფიქრდეს, თორემ ამგვარ ქმედებას გამოუსწორებელი შედეგები მოჰყვება. მერე არ დაიწყონ საუბარი იმაზე, ამ ხალხს ვიღაც მართავსო.

როცა მიდიხარ, 27 საფლავს აყადაღებ, მერე მიდიხარ და მის გადათხრას ახორციელებ, ექსპროპრიაციას ახდენ, ამას აჭარაში არავინ აპატიებს, რადგან ზუსტად აჭარაში, ზუსტად ამ კუთხეში, ამ ხალხის წინაპრები ოსმალეთის იმპერიას არ შეუშინდნენ და თავები დასდეს იმისათვის, რომ ეს ქართული მიწა შეენარჩუნებინათ. ამიტომ საფლავების გადათხრას არავინ აპატიებთ. ამაზე დიდი შეურაცხყოფა რეგიონში მცხოვრები ადამიანებისთვის არავის მიუყენებია. აქედან ხელისუფლებას ვაფრთხილებ, არა მარტო მარადიდსა და მაჭახლის ხეობაში, არამედ მთლიანად აჭარაში, შეიძლება, გამოიწვიოს სოციალურ-პოლიტიკური აფეთქება.

უკრაინის პრემიერ ალექსეი გონჩარუკი გადადგა

უკრაინის პრემიერ-მინისტრმა ალექსი გონჩარუკმა ქვეყნის პრეზიდენტ ვლადიმირ ზელენსკის გადადგომის შესახებ წერილი გაუგზავნა.

„მე ამ თანამდებობაზე პრეზიდენტის პროგრამის შესასრულებლად დავინიშნე. ის ჩემთვის ღიაობისა და წესიერების მაგალითია“, – დაწერა გონჩარუკმა ფეისბუქის საკუთარ გვერდზე.

მისი თქმით, გადადგომის შესახებ გადაწყვეტილება იმის გამო მიიღო, რომ გაიფანტოს ეჭვები „პრეზიდენტის პატივისცემასა და ნდობასთან დაკავშირებით“.

ცოტა ხნის წინ უკრაინულ მედიაში გავრცელდა აუდიოჩანაწერი, სადაც გონჩარუკი ვლადიმირ ზელენსკიზე საუბრობს და აცხადებს, რომ „ზელენსკის აქვს ძალიან პრიმიტიული გაგება ეკონომიკის შესახებ“.

სოციალურ ქსელებში გამოქვეყნდა მისი და ეროვნული ბანკის თავკაცის მოადგილე რიჟკოვასა და ფინანსთა მინისტრ მარქაროვასთან საუბრის ტექსტები.

ინფორმაცია პირველად მოსკოვის ყველა ტელეარხმა, აგრეთვე ვიქტორ მედვედჩუკის კუთვნილმა ტელეკომპანიამ გაასაჯაროვა.

საუბარი ძირითადად უკრაინაში შექმნილ ეკონომიკურ მდგომარეობას, აგრეთვე გრივნას კურსს შეეხება. მასში უხვადაა უცენზურო ლექსიკა. მოსაუბრენი უწმაწური ეპითეტებით მოიხსენიებენ პრეზიდენტ ზელენსკის.

მინისტრთა კაბინეტში თავდაპირველად ეს ინფორმაცია უარყვეს. სპეციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ საქმე გვაქვს პროვოკაციასთან და გონჩარუკს ამ ლექსიკით მთავრობის წევრებთან არ უსაუბრია. პრემიერი უკრაინის ექსპრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომაც დაიცვა.

– ვინც საუბარი გაასაჯაროვა, უკრაინის წინააღმდეგ მუშაობს! კანონზომიერია, რომ ე.წ. საუბრის ტექსტი პირველად რუსულმა ტელეარხებმა, აგრეთვე ვიქტორ მედვედჩუკის კუთვნილმა კომპანიამ გაასაჯაროვეს.

პოლიტოლოგი ფისენკო მიიჩნევს, რომ გონჩარუკს პროვოკაცია მოუწყვეს. მისი შემკვეთი ოლიგარქი კოლომოისკი იყო.

– გონჩარუკმა მისი ფინანსური ინტერესები შელახა. კოლომოისკიმაც შური იძია, – ამბობს ფისენკო.

ყალეიდოსკოპი

მოზარდმა დრონის წყალობით მოცურავეები ზვიგენის თავდასხმისგან გადაარჩინა



ავსტრალიის ახალი სამხრეთ უელსის შტატის ქალაქ ფორსტერში მოზარდმა დრონის წყალობით მოცურავეებთან მიახლოებული დიდი თეთრი ზვიგენი შენიშნა და ისინი მტაცებლის თავდასხმას გადაარჩინა.

17 წლის კემერონ გრეისი ფორსტერში ოჯახთან ერთად ისვენებდა. მან თავისი კვადროკოპტერი ჰაერში მეინ-ბიჩის პლაჟის თავზე აუშვა და ვიდეოზე დაახლოებით ორმეტრ-ნახევარი სიგრძის დიდი თეთრი ზვიგენი შენიშნა. მტაცებელი თევზი ორი ახალგაზრდა მოცურავისგან სულ რამდენიმე მეტრში იმყოფებოდა და ისინი მას ვერ ხედავდნენ.

გრეისმა ნანახის შესახებ თავის დეიდას, რეიჩელ უოლტერს უთხრა, რომელიც მაშინვე წყალში შევარდა და ახალგაზრდები საფრთხის თაობაზე გააფრთხილა.

– არ შემეძლო, უბრალოდ ვმჯდარიყავი და დავლოდებოდი, რა მოხდებოდა. წყალში შევვარდი და ბიჭებს ხელის ქნევით ვანიშნე, რომ სასწრაფოდ ნაპირზე ამოსულიყვნენ. მათ არ იცოდნენ, რა ხდებოდა, – განაცხადა უოლტერმა.

აიათოლა ალი ხამენეი: „ტრამპი კლოუნია, რომელიც ირანელ ხალხს ზურგში შხამიან ხანჯალს ჩასცემს“

ირანის უმაღლესი ლიდერის აიათოლა ალი ხამენეის თქმით, აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი კლოუნია, რომელიც თავს აჩვენებს, რომ თითქოს ირანელ ხალხზე წუხს.

ხამენეიმ ამის შესახებ თეირანში პარასკევის ლოცვისას, მლოცველებთან მიმართვის დროს განაცხადა.

მისი თქმით, ტრამპი ირანელ ერს ზურგში „შხამიან ხანჯალს ჩასცემს“.

ხამენეიმ გენერალ ქასემ სოლეიმანზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ამერიკამ ის „ლაჩრულად“ მოკლა და დასძინა, რომ ირანმა ამერიკას „იმიჯი შეულახა“ და ვაშინგტონისთვის რეალური დასჯა იქნება, როცა მის ძალებს ახლო აღმოსავლეთიდან გააძევებენ.

ხამენეიმ სიტყვით გამოსვლისას ბრიტანეთი, საფრანგეთი და გერმანიაც გააკრიტიკა და აღნიშნა, რომ ისინი შეერთებული შტატების მსახურები არიან და „ძალიან სუსტები არიან იმისთვის, რომ ირანი დააჩოქონ“.

რაც შეეხება „ყუდსის ძალებს“, რომელიც, ამერიკული მედიის ინფორმაციით, რეგიონში არსებულ ტერორისტულ ორგანიზაციებს, მათ შორის „ჰამასსა“ და „ჰეზბოლას“ უჭერს მხარს, ხამენეი აცხადებს, რომ „ყუდსის ძალები ჰუმანიტარულ ორგანიზაციად უნდა ჩაითვალოს. მისი წევრები არიან მებრძოლები საზღვრებს გარეშე“.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ხანძარს გადარჩენილი ერთადერთი გორილა მოკლეს

გერმანიის ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის მიწის ქალაქ კრეფელდში ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მოკლეს გორილა, რომელიც ხანძრის დროს დაშავდა.

მამრმა გორილამ და მდედრმა ორანგუტანმა, რომლებიც ცეცხლს გადაურჩნენ, მძიმე დამწვრობები მიიღეს. ვეტერინარებმა ორანგუტანის დაძინება მოახერხეს, თუმცა გორილას ვერაფრით გაუმკლავდნენ. მათ დაეხმარა პოლიციის თანამშრომელი, რომელმაც ხელმძღვანელობისგან ნებართვის მიღების შემდეგ ცხოველი პისტოლეტ-ტყვიამფრქვევის გამოყენებით მოკლა.

შეგახსენებთ, რომ ხანძარი მაიმუნთსაცავში ახალი წლის ღამეს ჩინური ფარნისგან გაჩნდა, რომელიც ჰაერში გაშვების შემდეგ ზოოპარკის ტერიტორიაზე დაეშვა. ხანძრის შედეგად 30-ზე მეტი ცხოველი დაიღუპა, მათ შორის ხუთი ორანგუტანი, 48 წლის გორილა, შიმპანზე, კიდევ რამდენიმე სხვა მაიმუნი და ფრინველები.

ხანძრის გაჩენაში დამნაშავეებად თვლიან ქალაქის სამ მცხოვრებს, რომლებიც ახალ წელს ზეიმობდნენ. 60 წლის ქალმა და მისმა მოზრდილმა ქალიშვილებმა ხანძრის შესახებ ახალი ამბების საინფორმაციო გამოშვებიდან შეიტყვეს, თავად მივიდნენ პოლიციაში და აღიარეს, რომ ზოოპარკის მახლობლად მათ გაუშვეს ჩინური ფარნები. მათ ფულადი ჯარიმა ან ხუთ წლამდე ვადით პატიმრობა ემუქრებათ.

აღსანიშნავია, რომ გერმანიაში ჩინური ფარნები აკრძალულია.

გეოდეზისტებს პითონის მოკვლისთვის ციხე ემუქრებათ

მალაიზიის სარავაკის შტატში, რომელიც კუნძულ კალიმანტანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს, 5,5 მეტრი სიგრძის პითონი მოკლეს. მის მკვლელებს ციხე ემუქრებათ. ამ ინფორმაციის სარავაკის ტყის კორპორაცია ავრცელებს.

იანვრის დასაწყისში ფეისბუქში გვერდზე sri amanGiuTuberiორი ვიდეო გამოქვეყნდა, რომლებზეც გეოდეზისტი მამაკაცების ჯგუფი უზარმაზარი გველის გვერდით პოზირებს. ინტერნეტში გამოქვეყნებული კადრების თანახმად, სავარაუდოდ, მისი სიგრძე ხუთ მეტრს აღწევდა, ხოლო წონა – ერთ ტონას.

– შესაძლოა, ეს ყველაზე დიდი პითონია, რომელიც ნახეს და დაიჭირეს მალაიზიაში და, არ არის გამორიცხული, მთელ მსოფლიოშიც, – აცხადებს სარავაკის ქალაქებისა და ბუნებრივი რესურსების განვითარების მინისტრის თანაშემწე ლენ ტალიფ სალეხი, – თუ ის ჯერ ისევ ცოცხალია, უნდა ვიზრუნოთ მასზე და, თუ მკვდარია, უნდა შევინარჩუნოთ.

ადგილობრივმა ჟურნალისტებმა მოახერხეს იმ ადამიანის პოვნა, რომელიც ვიდეოს გმირებს იცნობს. მისი მტკიცებით, ისინი გეოდეზისტები იყვნენ და პითონს ჯუნგლებში მუშაობის დროს გადაეყარნენ.

– მათ გველის მოკვლა მოუხდათ, – განმარტა მამაკაცმა ჟურნალისტებთან საუბარში, – პითონი უზარმაზარი იყო და მათ ჩათვალეს, რომ ის საფრთხეს წარმოადგენდა ადამიანების სიცოცხლისთვის.

ასე რომ, ახლა ისინი ველური ბუნების დაცვის კანონის დარღვევაში არიან ეჭვმიტანილნი, რომელიც კრძალავს გარეული ცხოველების დაჭერას, დახოცვასა და გაყიდვას. თუ მათი დანაშაული დამტკიცდება, ერთ წლამდე პატიმრობა და 10 ათასი მალაიზიური რინგიტის ჯარიმის სახით გადახდა ემუქრებათ.

ალჟირელი შეეცადა, ავსტრალიამდე ცურვით მიეღწია



ალჟირის მკვიდრი შეეცადა, აღმოსავლეთ ტიმორადან ავსტრალიამდე ცურვით ჩასულიყო, მაგრამ ვერ ჩააღწია და ის მეთევზეებმა გადაარჩინეს.

ალჟირელი ხამინუმნა აბდულ რახმან აღმოსავლეთ ტიმორაში 2019 წლის დეკემბერში ჩავიდა და ქვეყნის დედაქალაქ დილიში ცხოვრობდა. როდესაც მის ვიზას ვადა გაუვიდა და აღარც ფული დარჩა, გადაწყვიტა, ცურვით მიეღწია აღმოსავლეთ ტიმორის სუაის რაიონამდე, რომელიც ქვეყნის დედაქალაქიდან სამხრეთ-დასავლეთით 138 კილომეტრში მდებარეობს.

იქიდან მამაკაცმა ცურვა ავსტრალიის მიმართულებით გააგრძელა. დიდი ტალღებისა და ცუდი ამინდის გამო რახმანმა გზის გაგრძელება ვეღარ შეძლო. ის წყლის ზედაპირზე თავის შემაგრებას ახერხებდა, თუმცა უკვე საკმაოდ იყო დასუსტებული. ადგილობრივმა მეთევზეებმა ის ტიმორის ზღვაში, ინდონეზიის აღმოსავლეთ ნუსა-ტენგარას პროვინცია მალაკას ცენტრალური რაიონის მახლობლად გადაარჩინეს და საავადმყოფოში გადაიყვანეს.

მას შემდეგ, რაც აფრიკელს სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს, ის ინდონეზიის ატამბუას რაიონის საიმიგრაციო სამსახურში დაკითხვაზე გადაიყვანეს. ადგილობრივი ხელისუფლება გამოძიებას აწარმოებს რახმანის მოქალაქეობის დასადასტურებლად და მასზე მეტი ინფორმაციის მოსაპოვებლად.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ქეთი მელუა გორის ქალთა გუნდთან ერთად ალბომს წერს

ქართველი მომღერალი ქეთი მელუა საქართველოში იმყოფება და გორის ქალთა კამერულ გუნდთან ერთად ალბომს წერს.

მომღერალი საქართველოში უცხოელ პროდიუსერებთან ერთად ჩამოვიდა და ალბომზე „ლენო რექორდსის“ სტუდიაში მუშაობს.

ინფორმაციას ქეთი მელუა საკუთარ „ფეისბუქზე“ ავრცელებს. იგი ვიდეოლაივის დროს ამბობს, უცხოელი პროდიუსერების საქართველოში ჩამოყვანის მთავარი მიზანი მათთვის ქართული სტუდიების შესაძლებლობის გაცნობა იყო. ქეთი მელუას ინფორმაციით, პროდიუსერები აღფრთოვანებულები არიან საქართველოში მუშაობით.

ილიკო სუხიშვილი ერთმოქმედებიან ბალეტებს დგამს

ქორეოგრაფი ილიკო სუხიშვილი თანამედროვე ერთმოქმედებიან ბალეტებს დგამს. გიორგი ალექსიძის სახელობის თბილისის თანამედროვე ბალეტის მიწვევით, ილიკო სუხიშვილი და ანასტასია კადრულიოვა საავტორო დადგმებს შექმნიან. ერთმანეთისგან განსხვავებული თანამედროვე ერთმოქმედებიანი ბალეტების პრემიერას მაყურებელი გაზაფხულზე იხილავს.

ილიკო სუხიშვილმა დასს პირველი რეპეტიცია ჩაუტარა და საინტერესო სადადგმო პროცესი დაიწყო.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

განცხადებები

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ფოტოსურათით მოგიხსნით ნეგატიური და ნერვული სტრესებით გამოწვეულ პრობლემებს: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, დეპრესიას, ძილში შფოთს, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, ოჯახურ პრობლემებს. ნუ დაელოდებით, თქვენ გარშემო მყოფი თავს როდის მოიკლავს ან ჩამოუყალიბდება შიზოფრენია. ჩვენ ხომ მისი გადარჩენა შეგვიძლია. მის: წერეთლის გამზ. №57, II სადარბაზო, II სართული, ოფისი №777. ტელ: 599-49-84-23, ნანა ქიბროწაშვილი, ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი.

● ტიბეტური მედიცინა გთავაზობთ დაავადების გამომწვევ მიზეზთა დიაგნოსტიკას სპეციალური აპარატურით. მკურნალობას ჩაგიტარებენ მოწვეული ექიმები. ტელ: 579-281-766.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

● ვაქირავებ 2-ოთახიან, კეთილმოწყობილ, იზოლირებულ ბინას სტუდენტი გოგონასთვის. მისამართი: ნინოშვილის 57/კონსტიტუციის 13. ტელ: 599-294-293.

ხელბურთელთა ნაკრების ბედი ფინეთში გაირკვევა

საქართველო-ფინეთი 24:24
თბილისი. სპორტის სასახლე

საქართველო: თევზაძე (15 მოგერიება), ცინცაძე; ცხოვრებაძე (8 ბურთი), არსენაშვილი (5), ორჯონიკიძე (5), ჩიქოვანი (3), რუსტამოვი (1), წითელიშვილი (1), დიხამინჯია (1), ჭანტურია, კბილაშვილი, მაისურაძე, აბრამიშვილი, კალანდაძე, მიქავა, გოგოლაძე

ფინეთი: მაკელა (16) როსლანდერი; ტამინენი (6), რონბერგი (5), სიურიალა (4), შომანი (3), მარტინი (3), მ.გრანლუნდი (1), კოლიონენი (1), სუნდბერგი (1), კილსტედტი, ფორსი, ჰელანდერი, რ. გრანლუნდი, საკინენი

საქართველოს ნაკრებმა ევრო 2002 მეორე შესარჩევი ეტაპის პირველი მატჩი ფინეთთან ფრედ, 24:24 ითამაშა. საპასუხო შეხვედრა 19 იანვარს გაიმართება რიიჰიმიაკიში. 2 მატჩის ჯამში გამარჯვებული გადის მთავარ შესარჩევ რაუნდში, რომელიც 2020 წლის ოქტომბერში იწყება.

ჩვენმა გუნდმა თამაში ასეთი შემადგენლობით დაიწყო: თევზაძე, რუსტამოვი, ორჯონიკიძე, ჩიქოვანი, ცხოვრებაძე, ჭანტურია და არსენაშვილი, რომელსაც დაცვაში წითელიშვილი ცვლიდა. პირველ ტაიმში მოედანზე ასევე შევიდნენ კბილაშვილი და მაისურაძე, ხოლო მეორეში – დიხამინჯია, აბრამიშვილი.

თავიდან ფინეთი დაწინაურდა. მეტოქის ლიდერს, უკანახაზელ ნიკო რონბერგს პირველ ტაიმში თამაშიდან ბურთი არ გაუტანია, თუმცა ფინელები უფრო წარმატებულები იყვნენ 6 მეტრიდან. ჩვენი ნაკრები პირველ ტაიმში ძირითადად შორიდან უტევდა, მაგრამ 13 დარტყმიდან შედეგიანი მხოლოდ 4 იყო, დანარჩენებს კი მეკარე მაკელა (ჯამში 16 მოგერიება) გაუმკლავდა. 3:6 ჩამორჩენის შემდეგ ხაზზე სამჯერ კარგად გაიხსნა არსენაშვილი, გავათანაბრეთ (6:6), მაგრამ ისევ ჩამოვრჩით სამით – 7:10.

ტაიმის ბოლოსკენ ჩვენგან მხოლოდ 3 მოთამაშეს ჰქონდა გოლი გატანილი (ცხოვრებაძე 4, არსენაშვილი 3, ორჯონიკიძე 2), თუმცა ბოლოში რუსტამოვმა გაათანაბრა და ჩიქოვანმა წინაც გაგვიყვანა – 11:10 და ასე გავედით შესვენებაზე.

თამაშის განახლებისთანავე ფინეთმა ლიდერობა დაიბრუნა, მაგრამ ჯერ ცხოვრებაძემ უპასუხა 2-ჯერ, ხოლო ჩიქოვანმა და ორჯონიკიძემ სოლიდურად დაგვაწინაურეს – 15:12 და ფინელებს წუთშესვენება დასჭირდათ. მალე ანგარიში 16:16 გახდა და ტაიმაუტი უკვე ნიკოლა მაქსიმოვიჩმა აიღო.

შემდეგ გაგვიმართლა: ჩიქოვანმა შიგ ზონაში აუგდო პასი ცხოვრებაძეს, რომელმაც ვერ დაიჭირა, მაგრამ ბურთი მიუგორდა დიხამინჯიას და მანაც კუთხიდან გაიტანა – 17:16, დასრულებამდე 14 წუთით ადრე კი კიდევ ერთხელ დაგვაწინაურა ორჯონიკიძემ – 18:17, მაგრამ დიხამინჯიას 2-წუთიანი გაძევების შემდეგ ჩამოვრჩით და მალე ფინეთი 2 ბურთით გავიდა წინ – 18:20 და რჩება 10 წუთი.

ჩიქოვანმა სხვაობა შეამცირა და უკვე რიცხვობრივ მეტობაში არსენაშვილს 2-ჯერ გააქვს ცარიელ კარში – 21:20, მაგრამ წითელიშვილი ორწუთიანში მიდის და რჩება 8 წუთი. ფინეთი ისევ წინ გადის და ცხოვრებაძე ათანაბრებს – 22:22. ფინელი ხელბურთელის გაძევების შემდეგ ორჯონიკიძეს ცარიელ კარში გააქვს – 23:22 წინ გავდივართ და რჩება 4 წუთი.

სირენამდე 3 წუთით ადრე ანგარიში თანაბარია, დაცვაში უხეშობისთვის ირაკლი ჩიქოვანი იღებს წითელ ბარათს. მეტოქე ისევ წინაა – 23:24 და ცხოვრებაძე ნაკლებობაში ათანაბრებს.

ბოლო შეტევა ჩვენ გვრჩება, მაგრამ დარტყმა ვერ მოვახერხეთ და სირენამდე 16 წამით ადრე მეტოქის მწვრთნელმა ლინდგრენმა ტაიმაუტი აიღო.

ბოლო შეტევაში ტამინენმა კუთხიდან ძელს გაარტყა, ბურთი საწინააღმდეგო ფრთაზე მიიღო შომანმა და მას თევზაძემ აუღო, მეორე რებაუნდიც ფინელებს ერგოთ, მაგრამ ტამინენმა ზონაში დააბიჯა და მატჩიც ფრედ დასრულდა.

საქართველოს ნაკრები დღეს მიემგზავრება ფინეთში.

ნიკოლა მაქსიმოვიჩი, საქართველოს ნაკრების მწვრთნელი:

– ეს მხოლოდ პირველი ნახევარი იყო. მე-2 ტაიმი ფინეთში გველოდება. ეს იყო თამაში, რომელშიც შეგვეძლო როგორც მოგება, ისე წაგება. ბედნიერი ვარ, რომ ჩემმა გუნდმა ბოლომდე იბრძოლა და თავი არ დაზოგა. დარწმუნებული ვარ, რომ გამოვასწორებთ შეცდომებს, ფინეთში კი მოსაგებად მივდივართ. როგორც ხედავთ, ახალგაზრდული გუნდი გვყავს, რომელიც ასეთ მატჩებში უდიდეს გამოცდილებას იღებს. მჯერა, რომ გასვლით შეხვედრაში საუკეთესო თამაშს ვაჩვენებთ, მოვიგებთ და შემდეგ ეტაპზე გავალთ. გპირდებით, რომ ამისთვის ყველაფერს გავაკეთებთ, ამ გუნდს კი დიდი მომავალი აქვს.

ქორქია-საკანდელიძის მემორიალზე სამი ნახევარფინალისტი ცნობილია

ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას მემორიალზე ჯგუფური ეტაპის ბოლო ტური არ გამართულა, მაგრამ 3 ნახევარფინალისტი უკვე ცნობილია. სატურნირო თვალსაზრისით, ბოლო ტურის 4 მატჩიდან 3-ს ინტრიგა დაკარგული აქვს – მხოლოდ ოლიმპისა და ტიტების დაპირისპირებაშია გასარკვევი, თუ რომელი გუნდი მოიპოვებს ნახევარფინალის ბოლო, მე-4 საგზურს.

არჩილ ჟღენტის გაწვრთნილმა კაკტუსმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი დამაჯერებლად – 100:88 დაამარცხა და 3-გუნდიან ჯგუფში 1 ადგილი გაიანაღდა. კაკტუსმა პირველ ტურში კავკასია დაამარცხა და თსუ-ს ძლევით ჯგუფური ეტაპი წაუგებლად დასრულეს.

ამ წაგებით ტურნირის მოქმედი ჩემპიონი და მიმდინარე სუპერლიგის ლიდერი თსუ ფლეი ოფის მიღმა დარჩა. უნივერსიტეტელები ბოლო ტურში კავკასიასთან ითამაშებენ, მაგრამ ვერც ერთ შემთხვევაში კაკტუსს ვეღარ გადაასწრებენ.

ანატოლი ბოისას გაწვრთნილმა რუსთავმა, რომელმაც ჯერ მგზავრები დაამარცხა, დინამოსაც დამაჯერებლად – 97:79 მოუგო და ბ ჯგუფის დანარჩენი 2 გუნდისთვის მიუწვდომელი გახდა. ბოლო ტურში ერთმანეთს დინამო და მგზავრები შეხვდებიან და ტურნირზე პრესტიჟის გამარჯვების მოსაპოვებლად იბრძოლებენ.

მე-3 მეოთხედფინალისტი გახლავთ ქუთაისი, რომელმაც ც ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა. კოტე ტუღუშის გაწვრთნილმა გუნდმა ცხუმაფხაზეთი იოლად დაამარცხა, ბათუმის გატეხვა კი, ცოტა გაუჭირდა. თანაბარი პირველი ნახევრის შემდეგ ქუთაისელებმა მე-3 პერიოდში ხელჩასაჭიდი ლიდერობა მოიპოვეს. იმერულმა კლუბმა საბოლოოდ 102:93 დაამარცხა აჭარული გუნდი და ნახევარფინალში გავიდა.

ტურის ბოლო მატჩში ვერა ოლიმპს დაუპირისპირდა. ვერელებს წინა შეხვედრაში ტიტები ჰყავდა დამარცხებული და ახლაც რომ ემარჯვა, ნახევარფინალში კაკტუსს შეუწყვილდებოდა, მაგრამ დიმიტრი ჯაკობოვის გაწვრთნილმა ოლიმპელებმა უბადლოდ ჩატარებული მეორე ნახევრის წყალობით დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს – 77:56. არადა, პირველი ნახევარი ვერელებმა 41:38 მოიგეს, თუმცა დიდი შესვენების შემდეგ მოედანზე სულ სხვა ოლიმპი გამოვიდა, რომელმაც მესამე პერიოდი 22:6 მოიგო და შეხვედრის ბედი ფაქტობრივად გაარკვია. აღებული ტემპი ოლიმპელებმა არ დააგდეს და მატჩის ბოლომდე უპირატესობა კიდევ უფრო გაზარდეს.

შესაბამისად, დ ჯგუფიდან გამსვლელი გუნდი გაურკვეველია, მაგრამ უკეთესი შანსი ოლიმპს აქვს, რომელიც ბოლო მატჩში ტიტებთან 12 ქულით წაგების შემთხვევაშიც არ კარგავს პირველ ადგილს. 13 ქულით თუ იმარჯვებს, ნახევარფინალში ტიტები გავა.

ლივერპული მანჩესტერს დაუხვდება

სტატისტიკა, ფსონები

ევროპაში საფრანგეთი ისვენებს. ტურიც დიდად გადატვირთული არ არის, მაგრამ სრულიად ინგლისი ლივერპულისა და მანჩესტერის დუელს ელოდება. ინგლისში ბევრი დერბია, მაგრამ ამ გუნდების გულშემატკივრები ერთმანეთში „ომს“ ამჯობინებენ.

ინგლისი

18.01 უოტფორდი-ტოტენჰემი	3.20	3.50	2.20
18.01 ნორვიჩი-ბორნმუთი	2.20	3.55	3.15
18.01 არსენალი-შეფილდი	1.85	3.60	4.40
18.01 სიტი-კრ.პალასი	1.10	10.00	23.00
18.01 ბრაიტონი-ასტონ ვილა	1.65	4.20	4.90
18.01 ვესტ ჰემი-ევერტონი	2.95	3.40	2.40
18.01 საუთჰემპტონი-ვულვზი	2.40	3.30	3.05
18.01 ნიუკასლი-ჩელსი	6.00	4.45	1.50
19.01 ბარნლი-ლესტერი	4.15	3.65	1.85
19.01 ლივერპული-მანჩესტერი	1.40	4.95	8.00

სატურნირო ცხრილი:

1.ლივერპული	21	20	1	0	50-14	61
2.სიტი	22	15	2	5	62-25	47
3.ლესტერი	22	14	3	5	47-21	45
4.ჩელსი	22	12	3	7	39-29	39
5.მანჩესტერი	22	9	7	6	36-25	34
6.შეფილდი	22	8	8	6	24-21	32
7.ვულვზი	22	7	10	5	31-28	31
8.ტოტენჰემი	22	8	6	8	36-31	30
9.კრ.პალასი	22	7	8	7	20-24	29
10.არსენალი	22	6	10	6	29-31	28
11.ევერტონი	22	8	4	10	27-32	28
12.საუთჰემპტონი	22	8	4	10	27-39	28
13.ნიუკასლი	22	7	5	10	21-34	26
14.ბრაიტონი	22	6	6	10	25-30	24
15.ბარნლი	22	7	3	12	24-37	24
16.ვესტ ჰემი	21	6	4	11	25-33	22
17.უოტფორდი	22	5	7	10	20-34	22
18.ასტონ ვილა	22	6	3	13	28-43	21
19.ბორნმუთი	22	5	5	12	20-35	20
20.ნორვიჩი	22	3	5	14	22-45	14

გერმანია

18.01 კიოლნი-ვოლფსბურგი	2.75	3.35	2.60
18.01 აუგსბურგი-დორტმუნდი	4.55	4.30	1.65
18.01 ფორტუნა-ვერდერი	2.70	3.55	2.50
18.01 ჰოფენჰაიმი-აინტრახტი	2.40	3.70	2.80
18.01 მაინცი-ფრაიბურგი	2.20	3.55	3.15
18.01 ლაიფციგი-უნიონი	1.30	6.00	10.00
19.01 ჰერტა-ბაიერნი	8.00	5.50	1.35
19.01 პადერბორნი-ლევერკუზენი	4.75	4.45	1.65

სატურნირო ცხრილი:

1.ლაიფციგი	17	11	4	2	48-20	37
2.გლადბახი	17	11	2	4	33-18	35
3.ბაიერნი	17	10	3	4	46-22	33
4.დორტმუნდი	17	8	6	3	41-24	30
5.შალკე	17	8	6	3	29-21	30
6.ლევერკუზენი	17	8	4	5	23-21	28
7.ჰოფენჰაიმი	17	8	3	6	25-28	27
8.ფრაიბურგი	17	7	5	5	27-23	26
9.ვოლფსბურგი	17	6	6	5	18-18	24
10.აუგსბურგი	17	6	5	6	28-31	23
11.უნიონი	17	6	2	9	20-24	20
12.ჰერტა	17	5	4	8	22-29	19
13.აინტრახტი	17	5	3	9	27-29	18
14.მაინცი	17	6	0	11	25-39	18
15.კიოლნი	17	5	2	10	19-32	17
16.ფორტუნა	17	4	3	10	18-36	15
17.ვერდერი	17	3	5	9	23-41	14
18.პადერბორნი	17	3	3	11	20-36	12

ესპანეთი

18.01 ლევანტე-ალავესი	2.05	3.50	3.60
18.01 რეალი-სევილია	1.60	4.20	5.00
18.01 ოსასუნა-ვალიადოლიდი	1.85	3.45	4.65
18.01 ეიბარი-ატლეტიკო	5.00	3.40	1.80
19.01 მალიორკა-ვალენსია	3.65	3.50	2.05
19.01 ბეტისი-სოსიედადი	2.40	3.60	2.75
19.01 ვილიარეალი-ესპანიოლი	1.65	3.90	5.25
19.01 ბილბაო-სელტა	1.95	3.25	4.35
19.01 ბარსელონა-გრანადა	1.16	8.00	16.25

სატურნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	19	12	4	3	49-23	40
2.რეალი	19	11	7	1	36-12	40
3.ატლეტიკო	19	9	8	2	22-12	35
4.სევილია	19	10	5	4	24-18	35
5.სოსიედადი	19	9	4	6	33-25	31
6.ვალენსია	19	8	7	4	29-25	31
7.ხეტაფე	19	8	6	5	26-20	30
8.ბილბაო	19	7	8	4	20-13	29
9.ვილიარეალი	19	8	4	7	33-26	28
10.გრანადა	19	8	3	8	25-25	27
11.ლევანტე	19	8	2	9	26-29	26
12.ოსასუნა	19	5	9	5	26-25	24
13.ბეტისი	19	6	6	7	26-32	24
14.ვალიადოლიდი	19	4	9	6	17-23	21
15.ალავესი	19	5	5	9	20-29	20
16.ეიბარი	19	5	4	10	18-29	19
17.სელტა	19	3	6	10	16-29	15
18.მალიორკა	19	4	3	12	18-33	15
19.ლეგანესი	19	3	5	11	16-30	14
20.ესპანიოლი	19	2	5	12	14-36	11

იტალია

18.01 ლაციო-სამპდორია	1.40	4.85	7.25
18.01 სასუოლო-ტორინო	2.65	3.35	2.65
18.01 ნაპოლი-ფიორენტინა	1.65	4.10	5.25
19.01 მილანი-უდინეზე	1.55	4.00	6.25
19.01 ბრეშა-კალიარი	2.45	3.50	2.80
19.01 ბოლონია-ვერონა	1.95	3.55	3.90
19.01 ლეჩე-ინტერი	9.25	5.75	1.30
19.01 ჯენოა-რომა	3.90	3.50	1.95
19.01 იუვენტუსი-პარმა	1.22	6.50	12.25
20.01 ატალანტა-სპალი	1.20	7.00	13.00

სატურნირო ცხრილი:

1.იუვენტუსი	19	15	3	1	37-18	48
2.ინტერი	19	14	4	1	40-16	46
3.ლაციო	18	13	3	2	41-17	42
4.ატალანტა	19	10	5	4	49-26	35
5.რომა	19	10	5	4	34-21	35
6.კალიარი	19	8	5	6	33-29	29
7.პარმა	19	8	4	7	26-25	28
8.ტორინო	19	8	3	8	25-26	27
9.ვერონა	18	7	4	7	21-22	25
10.მილანი	19	7	4	8	18-24	25
11.ნაპოლი	19	6	6	7	28-26	24
12.უდინეზე	19	7	3	9	17-28	24
13.ბოლონია	19	6	5	8	28-31	23
14.ფიორენტინა	19	5	6	8	23-29	21
15.სასუოლო	19	5	4	10	30-34	19
16.სამპდორია	19	5	4	10	19-28	19
17.ლეჩე	19	3	6	10	22-38	15
18.ჯენოა	19	3	5	11	20-38	14
19.ბრეშა	19	4	2	13	17-36	14
20.სპალი	18	3	3	12	12-29	12

მოამზადა მიხეილ ყორჟოლიანმა

წყალბურთელებმა საბერძნეთთან სენსაცია ვეღარ მოახერხეს

უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში მიმდინარე წყალბურთელთა ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრები ჯგუფის ერთ-ერთ ფავორიტ საბერძნეთს შეხვდა და 10:17 დამარცხდა.

ყველაფერი პირველ ტაიმში გადაწყდა – რევაზ ჩომახიძის გუნდს საწყის მეოთხედებში თითქმის არაფერი გამოუვიდათ. იყო შეცდომები დაცვაში, გვიჭირდა შეტევაში. პირველ პერიოდში გუნდებმა 6-6-ჯერ დაარტყეს კარისკენ, მაგრამ 8-წუთეული 5:1 ბერძნებმა მოიგეს.

მეორე მეოთხედში ბერძნების აშკარა უპირატესობა კიდევ უფრო გაიზარდა და ტაიმი საქართველომ 2:11 წააგო.

სრულიად განსხვავებული გამოდგა მესამე მეოთხედი, რომელიც საქართველოს ნაკრებმა 4:2 მოიგო. თანაბარი გამოდგა ბოლო მეოთხედიც – 4:4. თუმცა, საერთო ჯამში, ამან ხეირი ვერ მოგვცა.

ერთია, ბერძნები აშკარად უკეთესი გუნდია და წაგებაც მოსალოდნელი იყო. ერთადერთი, რისი გაანალიზებაც ჩომახიძესა და მის შეგირდებს მოუწევთ, შეცდომების გამოსწორებაა.

საქართველოს ნაკრებიდან დუბლი ვაპენსკიმ და რურუამ შეასრულეს, ხოლო თითო გოლი ქავთარაძის, ცრეპულიას, იმნაიშვილის, ბითაძის, ჯახაიასა და ბარალდის ანგარიშზეა.

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. გამოგონების დამადასტურებელი დოკუმენტი; 2. ცურვის ერთ-ერთი სტილი; 3. აღორძინების ეპოქის იტალიელი მხატვარი; 4. მგალობელი ჩიტი; 5. ჯალათის ძველი ქართული სახელწოდება; 9. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 12. ძველი ბერძენი ფილოსოფოსი; 14. რომის პაპის წარმომადგენელი რომელიმე სახელმწიფოში; 15. ხელოვნების მუზეუმი ლოს-ანჟელესში; 17. სატანვარჯიშო იარაღი; 18. დიპლომატიური წარმომადგენელი.

თარაზულად: 6. ქართული ხალხური შრომის სიმღერა; 7. ფრანგი მწერალი ქალის ჟორჟ სანდის რომანი; 8. ადვოკატი ანუ ...; 10. ფულის ერთეული ინდოეთში; 11. მანათობელი მწერი; 13. სოფოკლეს ტრაგედია; 16. რკინის მადნიდან გამოდნობილი ნახშირბადის შემცველი მტკიცე ლითონი; 19. აპარატი, რომელიც განსაზღვრავს ობიექტის ადგილმდებარეობას, მისგან არეკლილი ბგერითი ტალღების საშუალებით; 20. მე-16 საუკუნის პორტუგალიელი ზღვაოსანი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. რობაია; 2. ემოცია; 3. ბერგმანი; 4. ფირუზი; 6. მალიორკა; 8. ანონსი; 11. რიტორიკა; 12. კონსული; 16. ბორდო; 17. ბასფი; 18. დათვი.

თარაზულად: 1. როლექსი; 5. მოწმე; 7. თერაპია; 9. ავიცენა; 10. კუპდარი; 13. სიღნაღი; 14. წიწაკა; 15. რომი; 19. ქსენონი; 20. ბახთიარი; 21. პორტვეინი; 22. ბადაგი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. გუდაური; 2. ალილო; 3. ბაიადერა; 4. უოტსონი; 5. გარპაგონი; 9. ნატალი; 12. დუაიენი; 14. კოპოლა; 15. პეჟო; 17. კასტა; 18. არია.

თარაზულად: 6. ჯუღელი; 7. ვალტორნა; 8. ბაზელი; 10. ლონჟა; 11. ვინჩესტერი; 13. აკროპოლი; 16. კულაკი; 19. რენეგატი; 20. მაჭახელა.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

18 იანვარი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.8781

ევრო — 3.2002

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.7556

100 რუსული რუბლი — 4.6718

ამინდის პროგნოზი 18 იანვრისთვის

ნანული სარაჯიშვილი 60+ ასაკის ადამიანებთან ერთად სპექტაკლში ითამაშებს

რუსთაველის თეატრის მსახიობი ნანული სარაჯიშვილი 60+ ასაკის ადამიანებთან ერთად სპექტაკლში ითამაშებს.

ნებისმიერ მსურველს, რომელმაც თავის დროზე ვერ აიხდინა ოცნება და თეატრის სცენაზე ვერ დადგა, ახლა ეძლევა შანსი, ნანული სარაჯიშვილთან ერთად იმუშაოს.

60+ ასაკის ადამიანებისგან რუსთაველის თეატრში შედგება თეატრალური დასი და ისინი 10 საღამოს ნანული სარაჯიშვილთან ერთად გაატარებენ.

პროექტი პირველ თებერვალს დაიწყება და 10 კვირას გასტანს. დროის ამოწურვის შემდეგ კი, 60+ ასაკის დასის წევრები რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე სპექტაკლს წარმოადგენენ.

„ნიჭიერი“ იწყება

სახალხო შოუს „ნიჭიერის“ მორიგი სეზონი იწყება.

პროექტი ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში გავა, მანამდე კი მთელი საქართველოს მასშტაბით შესარჩევი ტურები დაიწყო.

ახალი სეზონისთვის კონკურსანტების შერჩევის ეტაპი სტარტს თბილისიდან აიღებს. კონკურსანტებს ტელეკომპანია „იმედში“ მიეცემათ საშუალება საკუთარი შესაძლებლობები წარმოაჩინონ.

25 იანვარს „ნიჭიერი“ ქუთაისს ეწვევა, 26 იანვარს კი ბათუმში ჩავა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

18 იანვრისთვის

ვერძი – პრობლემების დაძლევაში დაბრკოლებები შეგხვდებათ, თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყურები უნდა ჩამოყაროთ. სამაგიეროდ, სიყვარულში გიმართლებთ. **კურო** – ემოციები მოთოკეთ, ნერვებს ნუ აჰყვებით. ახალი საქმის დაწყება დღეს არ ღირს. ნურაფერს დაგეგმავთ. **ტყუპები** – ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. მამაკაცმა ტყუპებმა ზედმეტი ინიციატივის გამოვლენისაგან თავი შეიკავეთ. ქალებს ვარსკვლავები სტუმრად წასვლას ურჩევენ. **კირჩხიბი** – სამოგზაუროდ წასასვლელად შესაფერისი დღეა. ახალი ნაცნობისგან სიურპრიზს ელოდეთ. ოჯახის წევრებს მეტი ყურადღება დაუთმეთ. **ლომი** – დამშვიდდით, ყველაფერი კარგად აწონ-დაწონეთ და გადაწყვეტილება ისე მიიღეთ. არასაჭირო კონტაქტებისგან დღეს თავი შეიკავეთ. **ქალწული** – დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანეთ. პირად ცხოვრებაში სასიამოვნო სიახლე გელით. გრძნობებს აჰყევით და ისე იმოქმედეთ. **სასწორი** – კრიტიკული დღეა. შესაძლოა, წვრილმან საოჯახო პრობლემებს შეეჯახოთ ან ფინანსურ სიძნელეებს გადააწყდეთ. საყიდლებზე წასვლა ან სხვა კომერციული ოპერაციები სხვა დროისათვის გადადეთ. **ღრიანკალი** – დაისვენეთ მშვიდ გარემოში. საკუთარ თავს კრიტიკულად მიუდექით. განმარტოება დიდ სულიერ სიმშვიდეს მოგგვრით. **მშვილდოსანი** – ჰარმონიული დღეა. თამამად იყავით, ყველაფერი თქვენ სასარგებლოდ მოქმედებს, თუმცა, ზომიერების დაცვაც არ გაწყენთ. **თხის რქა** – დაწყებული საქმის დამთავრებას სამომავლოდ ნუ გადადებთ. პირად ცხოვრებაში ყველაფერი ბრწყინვალედ გაქვთ. **მერწყული** – საკმაოდ გაგიძლიერდებათ აურა, შინაგანი პოტენციალი. პირადი მომხიბვლელობის წყალობით წარმატებას იოლად მიაღწევთ. **თევზები** – დღეს, შესაძლოა, მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული გაკვეთილი მიიღოთ. მიწაზე დაეშვით და მოვლენები რეალურად შეაფასეთ.

19 იანვრისთვის

ვერძი – დღის პირველ ნახევარში წარმატებას მოგიტანთ ხელმძღვანელ პირებთან კონტაქტი, ასევე საქმიან პარტნიორებთან მოლაპარაკებები. კომერციული ოპერაციები სასურველ შედეგს გამოიღებს. **კურო** – შესაფერისი დღეა აქტიური ინდივიდუალური მუშაობისთვის. რეალობის აღქმას ნუ დაკარგავთ. ზედმეტი თავდაჯერებულობა საზიანოა. **ტყუპები** – სავარაუდოდ, ფინანსების დანაკარგია მოსალოდნელი. არავის ენდოთ, დიდია მოტყუების ალბათობა. **კირჩხიბი** – ჩანაფიქრი იოლად გისრულდებათ, თუმცა, ამავე დროს, შინაგან დაძაბულობას გრძნობთ, რაც ჯანმრთელობის მდგომარეობაზე უარყოფით გავლენას მოახდენს. **ლომი** – ბიზნესის დასაწყებად მშვენიერი პერიოდია. ნებისმიერი კომერციული საქმიანობა წარმატებული იქნება. **ქალწული** – დღეს, შესაძლოა, ისეთი საქმიანი შემოთავაზება მიიღოთ, რომელიც თქვენს ფინანსურ მდგომარეობას ძალზე გააუმჯობესებს. საყვარელ ადამიანთან დაკავშირებით სასიამოვნო ინფორმაციას მიიღებთ. **სასწორი** – ბიზნესპარტნიორები ხაფანგს გიგებენ. არავითარ შემთხვევაში მათ ანკესს არ წამოეგოთ. ყველაფერი კარგად გააანალიზეთ და ისე იმოქმედეთ. **ღრიანკალი** – სიზარმაცემ შემოგიტიათ? შეუტიეთ თქვენც. თუ ასე არ მოიქცევით, ნებისმიერი წვრილმანი ცვლილებაც კი საზიანო იქნება. **მშვილდოსანი** – თქვენი აქტიურობა და შრომისმოყვარეობა სათანადოდ დაფასდება. კარგი დღეა დაწყებული საქმის დასამთავრებლად. **თხის რქა** – ბიზნესის დასაწყებად მშვენიერი პერიოდია. ნებისმიერი კომერციული საქმიანობა წარმატებული იქნება. **მერწყული** – თქვენი პიროვნული მომხიბვლელობა წარმატების მიღწევაში მნიშვნელოვან როლს ითამაშებს. გელით კარიერული წინსვლა. **თევზები** – ეს დღე შემოქმედებითი პოტენციალის ამაღლებით გამოირჩევა. მოსალოდნელია დიდი წარმატება ხელოვნების სფეროში, ასევე კარგი პერიოდია შვებულებაში გასასვლელად ან, უბრალოდ, ბუნების წიაღში დასასვენებლად.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

კაცი თუთიყუშს ყიდის. ქალი ეკითხება:

– რა ლამაზი ჩიტია და რა ღირს?

– ჰოო, ეს ბ...ზი ლაპარაკობს.

კაცი ქალს ბოდიშს უხდის და ეუბნება:

– თუ იყიდით, ხუთ წუთში ყველაფერს გამოვასწორებ.

შედის დამხმარე ნაგებობაში, წყალს ადუღებს, თუთიყუშში მდუღარე წყალთან მიჰყავს და ეუბნება:

– ამას ხედავ? ცოცხლად მოგხარშავ, თუ ისევ იუზრდელებ.

– კარგი, უფროსო, გავიგე, მეტს აღარ ვიზამ.

გამყიდველმა თუთიყუში გამოიყვანა და ქალს ეუბნება:

– მორჩა, ყველაფერი მოგვარებულია.

ქალი თუთიყუშს მიუბრუნდა და ეკითხება:

– ვთქვათ, სახლში მამაკაცთან ერთად დავბრუნდი, როგორ შემეგებები?

– გამარჯობა, ქალბატონო, გამარჯობა, ბატონო.

– კარგი და, თუ ორ მამაკაცთან ერთად დავბრუნდი?

– გამარჯობა, ქალბატონო, გამარჯობა, ბატონებო.

– მშვენიერია და, თუ სამ მამაკაცთან ერთად დავბრუნდი?

თუთიყუში გამყიდველს მიუბრუნდა და ეუბნება:

– აადუღე წყალი, მართლა ბ...ზი ყოფილა!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

კავანის სატრანსფერო საგა გრძელდება

ედინსონ კავანის სატრანსფერო საგა კვლავ გრძელდება და ჯერჯერობით უცნობია, თუ სად გააგრძელებს ის კარიერას.

ყველაზე მეტად მისი შეძენა მადრიდის ატლეტიკოს სურს, მაგრამ ატლეტიკო და პსჟ სატრანსფერო ფასში ვერ თანხმდებიან. პსჟ 30 მილიონს ითხოვს, ატლეტიკოს კი მხოლოდ 20-ის გადახდა სურს. სავარაუდოდ, პარიზელებს დათმობა მოუწევთ, რადგან ზაფხულში კავანის კონტრაქტი უმთავრდება და ის თავისუფალი აგენტის სახით დატოვებს გუნდს. კავანიმ განაცხადა, რომ ის პსჟ-სთან ახალი კონტრაქტის გაფორმებას არ აპირებს.

ჰარი კეინმა შესაძლოა ევროპის ჩემპიონატი გამოტოვოს

ტოტენჰემის ფორვარდმა ჰარი კეინმა შესაძლოა ევროპის ჩემპიონატი გამოტოვოს, რადგან ოპერაციის შემდეგ მას უფრო ხანგრძლივი რეაბილიტაცია სჭირდება, ვიდრე ამას თავიდან ფიქრობდნენ.

კეინმა შესაძლოა 5 თვე გამოტოვოს, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი ევროპის ჩემპიონატზე თამაში კითხვის ნიშნის ქვეშ არის.

თვითონ კეინს ჯერჯერობით კომენტარი არ გაუკეთებია.

ჰარი მაგუაირი მანჩესტერ იუნაიტედის კაპიტანი გახდა

მანჩესტერ იუნაიტედს ახალი კაპიტანი ჰყავს ჰარი მაგუაირის სახით. ეს ინფორმაცია ოლე გუნარ სოლსკიაერმა დაადასტურა, რომლის თქმით, მაგუაირი ძალიან კარგი კაპიტანი იქნება:

– მას კარგად ესმის ის პასუხისმგებლობა, რომელიც კაპიტნობის დროს ფეხბურთელს ეკისრება. მისი შესაძლებლობები ვიცი და არა მარტო ძლიერი ფეხბურთელი, არამედ კარგი ლიდერიც არის, ამიტომ მას კაპიტნობა გამოუვა.

მაგუაირი მანჩესტერში ლესტერიდან გადავიდა და მის ტრანსფერში 80 მილიონი გადაიხადეს.

სალაჰი: „ამჯერად მანჩესტერ იუნაიტედს დავამარცხებთ“

ლივერპულის ეგვიპტელმა ფორვარდმა მოჰამედ სალაჰმა მანჩესტერ იუნაიტედთან შეხვედრაზე ისაუბრა და თქვა, რომ ამჯერად ისინი მანჩესტერს დაამარცხებენ.

იუნაიტედი ერთადერთი გუნდია, რომლის დამარცხებაც წლევანდელ ინგლისის ჩემპიონატში ლივერპულმა ვერ შეძლო:

– ვიცი, რომ წინა შეხვედრებში მათ ვერ მოვუგეთ, მაგრამ ამჯერად საკუთარ მოედანზე ვთამაშობთ და ყველაფერი სხვანაირად იქნება. ჩვენ მხოლოდ გამარჯვებაზე ვფიქრობთ.

ერეკლე მეორეს 300 წლის იუბილე ეროვნულ არქივში აღინიშნება

2020 წელს მეფე ერეკლე მეორეს დაბადებიდან 300 წელი შესრულდა. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივი ამ თარიღს მრავალფეროვანი ღონისძიებებით ხვდება.

საქართველოს ეროვნულ არქივში მეფე ერეკლე მიერ გაცემული 1800-ზე მეტი ისტორიული საბუთი ინახება. ეს დოკუმენტები საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი გამორჩეული მეფის მოღვაწეობის შესახებ მრავალ საინტერესო ცნობას გვაწვდის. საბუთებს შორისაა საქმიანი და პირადი წერილები, წყალობისა და შეწირულების სიგელები, განაჩენები, სახელმწიფოს პოლიტიკურ, სამხედრო, საზოგადოებრივ ცხოვრებასთან დაკავშირებული დოკუმენტები.

ისტორიულ საბუთებთან ერთად ეროვნული არქივის ფონდებშია ერეკლე მეფესთან დაკავშირებული ხელნაწერები, მისი სტამბის გამოცემები, სხვა საარქივო დოკუმენტები.

2020 წელს ეროვნული არქივი გეგმავს საიუბილეო გამოფენების გამართვას თბილისსა და თელავის ისტორიულ მუზეუმში.

იგეგმება 2008 წელს ეროვნული არქივის მიერ გამოცემული წიგნის „ერეკლე II-ის საბუთები“ განახლებული და შევსებული ვერსიის გამოქვეყნება, სადაც ეროვნულ არქივში დაცულ დოკუმენტებთან ერთად, შევა სხვადასხვა აკადემიურ დაწესებულებაში დაცული ისტორიული საბუთები. ასევე გამოიცემა ალბომი „ერეკლე მეორე“, რომელიც დღემდე მოღწეულ, მეფესთან დაკავშირებულ წერილობით წყაროებსა და მემორიალურ ნივთებს გააერთიანებს.

საქართველოს ეროვნული არქივის მეხუთე საერთაშორისო კონფერენციაზე „არქივმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა, ტენდენციები და გამოწვევები“ ერეკლე მეორეს 300 წლის იუბილეს სპეციალური სექცია დაეთმობა, აგრეთვე გაიმართება სპეციალური სამეცნიერო სესია.

ასევე, დაგეგმილია ერეკლე მეორის მიერ გაცემული დოკუმენტების ელექტრონული კატალოგის მომზადება და პრეზენტაცია; საჯარო ლექციები, ფეისბუქაქტივობები და საიმიჯო პროდუქციის დამზადება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ↄ



შვეულად: 1. ძველებური ცხვირზე დასამაგრებელი სათვალე; 2. პორტუგალიური ღვინო; 3. ქართული ხალხური ცეკვა; 4. ქართველი კინოვარსკვლავი ქალი; 6. გუნდური შეჯიბრება მძლეოსნობასა და ცურვაში; 8. სპეციალური გამოსაკითხი ფურცელი; 11. ბროშში, ბეჭედში ჩასმული მსხვილი ბრილიანტი; 12. ლითონის დაშლა ქიმიური რეაქციის გავლენით; 16. კუნძულოვანი სახელმწიფო ხმელთაშუა ზღვაში; 17. გერმანული ავტომობილი; 18. მემკვიდრეობითი ტიტული ბრიტანეთში.

თარაზულად: 1. საძინებელი სარკინიგზო ვაგონის გამომგონებელი ამერიკელი მრეწველი; 5. ტვირთბრუნვით საბერძნეთის ყველაზე დიდი ნავსადგური; 7. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 9. მადრიდის „ატლეტიკოს“ ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი; 10. ამერიკული კოსმეტიკური ფირმა; 13. ფულის ერთეული მონღოლეთში; 14. ამერიკის სტეპებში გავრცელებული მგელი; 15. გემის მზარეული; 19. ქართველი სუმოისტი; 20. ტვირთის მცირე სიმაღლეზე ასაწევი მექანიზმი; 21. ქართველი მხატვარი გობელენისტი; 22. ხუმარა, ოხუნჯი ადამიანის ძველი ქართული სახელწოდება.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა